



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle


NOVEMBRE

1935—N° 119

ნომბერი
1935 წ.
N° 119

დასავლეთ-კავკასიის საზოგადოებრივი დაცემის საზოგადოებრივი დაცემის

საქართველოს პარტიკულური პარტიების ორგანიზაცია



დათიკო შაკაშიძე
(1886—1935)



მეგობრის ხსოვნას

ბევრი კარგი მეგობარი დავკარგეთ ყველამ ამ ემიგრანტობის ხანაში აქ, უცხოეთში და იქ, საქართველოში.

მათი დაკარგვა სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს იწვევს ჩვენში: ხან ის გვამწუხრებს უფრო, რომ ჩვენს თაობას აკლდება თავდადებული მოღვაწე, დიდი და სსსარგებლო მოამაგე საერთო საქმის; ხან კი უფრო ის გვაცრემლიანებს, რომ წყდება ძაფი დიდი ხნის განმავლობაში, ჭირში და ლხინში, ერთად ყოფნის და შეჩვეულ ურთიერთობის...

დათიკო შარაშიძის საფლავის წინაშე თანაბარ სიძლიერით ერთდება ეს ორივე გრძნობა: შეგნება საზოგადოებრივი დანაკლისის და სიყვარული უდროვით დაკარგულ ძვირფას მეგობრის.

მეტად მორიდებული ადამიანი, დ. შარაშიძე შეგნებულად გაუბრუნდა საზოგადო მოღვაწეობის მწვერვალებზე მიმავალ გზებს, მას მეორე და მესამე რიგებში დგომა ერჩია; შეიძლება ამიტომ ბევრმა არც კი იცოდეს კარგად, თუ რა დიდად სასარგებლო, რა ნიჭიერი კაცი დავკარგეთ მასში.

დ. შარაშიძის მოღვაწეობის უმთავრესი ასპარეზი მწერლობა იყო, პუბლიცისტიკა. და თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ორ ათეულ წელიწადზე მეტი ამ ასპარეზზე მუშაობის განმავლობაში, იმის კალმოდან არასოდეს გამოსულა რამე უხეში, შეუფერებელი იმ იდეალების, რომელსაც იგი ემსახურებოდა; დაკვირვებულმა მისმა კალამმა არ იცოდა მარცხი. ცოდნა და მირონცხებულ მწერლის ნიჭი ატყვია ყველა მის წაწერებს, იყო ის უსახელო თუ ხელმოწერილი, პატარა პროვინციულ თუ სატანტო ქალაქის დიდი გაზეთის ხელმძღვანელ-რედაქტორის როლში დაწერილი, სწერდა ქართულ თუ უცხო ენაზე. მორიდებული იყო განსვენებული, თუ ვნებაზე გაუბედავიც, მაგრამ თუ რასმე ეკისრებდა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ იმას იგი კარგად შესრულებდა, მის ნიჭიერ კალამს ყველა წინასწარ ნდობას უცხადებდა.

ამით აიხსნება, რომ იმ მძიმე მომენტში, როცა ახლად გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობას შავი ყორნები თავს დასჩხაოდნენ, დასცინოდნენ და სახელს უტყენდნენ, დ. შარაშიძეს (და მასთან ერთად მასავით ჩუმს და ერთგულ მუშაკს, მასავით უდროვით დავარგულს ლეო ნათაძეს) აბარებენ ხელმძღვანელობას იმ გაზეთისას, რომელიც ყველაზე უფრო წინ, პირში უნდა წარსდგომოდა მტრებს და იმ ენაზე, რომელზედაც ყველაზე უფრო თავს ესხმოდნენ თავისუფალ საქართველოს.

მძიმე და მეტად პასუხსაგები იყო იმ დროს ქართველი პუბლიცისტის როლი, რომ იდეა დამოუკიდებლობის ხალხში ვაემარტებია. მტრების უზომო თავდასხმა მოეგვრებია, საერთაშორისო რთულ პოლიტიკურ ურთიერთობაში სწორი მიმართულება აეღო და აუარებელი შინაური საქმეები გაერკვია და გაეშუქებია; კიდევ უფრო ძნელი, უფრო პასუხსაგები იყო ხელმძღვანელობა გაზეთის, რომელსაც უმთავრესად უცხოელები კითხულობდნენ, უცხო

მტერი და მოყვარენი. ჩვენს ამბავს, ჩვენს ავსა და კარგს, ჩვენი ახლობელი მეზობლებიც კი რუსული პრესის საშვალბით ტყობილობდნენ, ხოლო უდიდესი ნაწილი ამ რუსულ პრესის ჩვენდამი მტრულათ იყო განწყობილი.

მრავალი პოლიტიკური მისია მოდიოდა იმ დროს ჩვენ ქვეყანაში და ჩვენს ცხოვრებას, როგორც უშუალოდ, ისე ადგილობრივი პრესის საშვალბით ეცნობოდნენ. ამავე დროს ძვირათ შეხედებოდით ამ მისიებში ქართულის მცოდნეს, ხოლო ერთი და ორი რუსული ენის მოლაპარაკე ყოველთვის ყავდათ; ამიტომ მათ ბინაზე, მათ დოსიებში, იშვიათად თუ ნახავდით ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც. ხოლო რუსული გაზეთი «ბორბა» აქ აუცილებლად მოიპოვებოდა, იგი აქ ყოველ დღე იკითხებოდა. რა სიფრთხილე, რა წინდახედულობა, რა ტაქტი იყო საქირო, რომ ამ გაზეთს თავისი დანიშნულება პირნათლად შეესრულებია! და აი ამ გაზეთ «ბორბის» ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ახალგაზდა დათიკო შარაშიძე; მის შიძიე მოვალეობას, იგი სახელოვნათ ასრულებდა.

ამავე დროს დ. შარაშიძე თანამშრომელი იყო ქართულ ჟურნალ-გაზეთების და იმ ფრანგულ გაზეთისაც, იმ დროს ჩვენში რომ დროგამომწვევით გამოდიოდა. იგი წვერი იყო დამფუძნებელი კრების და საკანონმდებლო მუშაობაში სხვა მრავალზე უფრო მცოდნე და უფრო სასარგებლო.

არ დასცალდა ქართველ კაცს არც ერთ დარგში თავისი ნიჭის ეროვნულ ნიადაგზე თავისუფლად განვითარებისთვის და დათიკო შარაშიძესაც, როგორც ყველა პატიოსან ქართველ პუბლიცისტს საქართველოში, კალამი ხელიდან გაავდებინეს.

უცხოეთში დ. შარაშიძე შედარებით გვიან ჩამოვიდა და ჩამოსვლისთანავე ქართული საქმის პროპაგანდას შეუდგა უცხოეთის პრესაში. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ არ ყოფილა საქართველოში დამოუკიდებლობის დროს უცხოელი მწერალი თუ ჟურნალისტი, რომ იქ დ. შარაშიძეს არ გაცნობოდა, მისდამი ნდობით არ აღჭურვილიყო და, ვიტყვი მეტსაც, დათიკო არ შეეყვარებოდა. მრავალი ცნობა და წერილი საქართველოს შესახებ დ. შარაშიძის მიერ დაწერილი, თუ მის მიერ გადათარგმნილი, დაბეჭდილია სხვადასხვა ენაზე ევროპის პრესაში. სამწერლო მუშაობის გარდა, დ. შარაშიძე გამდიოდა საქართველოს საკითხის დასაცავათ საჯარო კრებებზე, მუდამ ნიჭიერათ და მოხდენილათ.

როცა ამ რამდენიმე წლის წინათ ფრანგის ცნობილმა მწერალმა ჰანრი ბარბიუსმა, კომუნისტების ბანაკში გადასულმა, თავი შეირცხვინა და საქართველოს წინამდევ კალამი ააშუშავა. ვის თუ არა დ. შარაშიძეს უნდა გაეცა მისთვის პასუხი. დიდ კანდიერებათ მიიხნდა მისთვის განსვენებულს მეთენ წიგნით, ფრანგულ ენაზე, ევროპიელ სახელის მატარებელ მწერლის წინამდევ გამოსვლა, თუმცა ამ მწერლის წიგნი საქართველოს წინამდევ კორებით იყო სავსე. დ. შარაშიძის საპასუხო წიგნს კ. კაუციკიმ ადფრთოვანებული წინასიტყვაობა გაუკეთა და ეს დათიკოსთვის უდიდესი ჯილდო იყო, სასახელო და



გამამხნეველი. გადაუმეტებლათ უნდა ითქვას, რომ უცხო ენაზე საქართველოს შესახებ გამოცემულს ამ უკანასკნელ დროს არც ერთ წიგნს იმდენი ყურადღება არ დაუმსახურებია, რამდენიც დ. შარაშიძის წიგნმა «ჰ. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო», და ისიც იმ შემარცხენე წრეებში, გარდა კომუნისტებისა, სადაც ბარბიუსს თაყვანისმცემლები ყავდა.

ქართულ ემიგრანტულ პრესაშიც დ. შარაშიძე მუდმივი თანამშრომელი იყო ჩვენი გამოცემების, წევრი სარედაქციო კოლეგიების.

მსოფლმხედველობით სოციალისტი, ბუნებით დემოკრატი, სამშობლოს მოყვარული მთელი თავისი არსებით, ზნით და ჩვეულებით, დ. შარაშიძე ღრმა რწმენით ემსახურებოდა ამ მისთვის ძვირფას იდეალებს: იგი შეუთრებელი მტერი იყო საქართველოს დამპყრობელების, დესპოტიის და უსამართლობის. ერთგული თავის პარტიულ რწმენის და პარტიულ მეგობრების, დათიკო იმავე დროს პატიოსანი მოწინააღმდეგე იყო იდეურ მოპირდაპირის. ზომიერება და სითბო, სინაზე და სიფაქიზე შეჰქონდა მას ყოველ საქმეში, რასაც მას მიანდობდნენ; და მართალი იყვენ მისი ის ჰალარა მეგობრები, მისი ღია საფლავის წინაშე ჩვენს ახალგაზრდობას რომ მიუთითებდნენ დათიკოს სწორეთ ამ თვისებებზე, სანატრელზე ჩვენს დუხჭირ პირობებში.

იდეური მოწინააღმდეგენი დათიკოს პატივს სცემდნენ, ხოლო არ ვიცი მისი ახლობელი, რომ ეს მგრძობიარე, თბილი და თავდაბალი ადამიანი არ ყვარებოდეს. თავდაბალი და მორიდებული იყო იგი თავის მეგობართა ვიწრო წრეშიც. და აი ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვსწერ და მას, უდროვით და-კარგულს, მინდა მართალი და გულწრფელი სიტყვა ვუთხრა, ასე მგონია, მისებურათ ხელს ჩააქნევს და იტყვის იმას, რაც მისგან ბევრჯელ გაგვიგონია ხოლმე, როცა მას საპასუხისმგებლო და გამოსაჩენ საქმის ჩაბარებას გაუპირებდნენ: «თუ ძმა ხარ, თავი გამანებეთ, ამის უნა მე არ მაქვს!»...

დათიკოს დანაკლისს ჩვენ კარგათ ვგრძობდით მას შემდეგ, რაც უღმობელმა სენმა მას მაგრათ ხელი ჩაკიდა; ახლა კი, და დიდი ხნის განმავლობაში; ვიგრძნობთ უკვე სიცალიერეს იმ ადგილისას, მას რომ ეჭირა სახაჯადო საქმეში და მეგობართა წრეში.

პ. კანდელაკი.

ქ ვ ი რ შ ა ს ი ლ ი რ ს ე ბ ა

დათიკო შარაშიძის დაკარგვა უფრო მძიმეა, ვიდრე ეს შეიძლება გვეჩვენოს პირველი შეხედვით. ნიჟერი, ფინელი, განათლებული, უცხო ენების მცოდნე, კარგი მწერალი—იგი მეტად საპირო და სასარგებლო იყო ჩვენს ემიგრაციაში განმათავისუფლებელ მუშაობისათვის. ძნელია ამისთანა მტკიცე ტრადიციების და პრინციპების მქონეს, მკვერი ვნის და მახვილი კალმის პატრონის მაგიერის პოვნა ჩვენი მეზობლთა მცირე-რიცხვოვან წრეში. და სამწუხაროა ძლიერ, რომ მისი გარშემონი სავსებით არ ვსარგებლობდით და არ ვიყენებდით მის ნიჭსა და

უნარს ისე, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი...

ჩემს გულში წარუხრცილია განსვენებულის ერთი დიდი ღირსება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ემიგრაციაში. ესაა ძლიერი ეროვნული შეგნება და ერის სიყვარული. ამ რამდენიმე წლის წინად ცოლი შეირთო, ფრანგის ქალი, დიდად მოყვარული და მონდობილი ქართველობაზე, როგორც მშობნელ ერზე, და შვილი რომ ეყოლა —ეუკი—, მისი მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ ბავში ქართულად გაზრდილიყო; რომ მისი პირველი სიტყვები ყოფილიყო ქართული. ყოველ ზომას იღებდა ამისათვის, ერთგული ცოლიც ხელს უწყობდა. შვილი რომ წამოიზარდა, არასოდეს ფრანგულად არ დაელაპარაკებოდა, სულ ქართულ ამბებს უამბობდა, ქართულ ზღაპრებს, არაკებს, ქართულს ცნობრებას აუწერდა, საქართველოს სურათებს უჩვენებდა, გამოჩენილ ქართველ ისტორიულ და ლიტერატურულ მოღვაწეების სახეებს, ისტორიასაც მოუთხრობდა, რამდენად ბავშვს ამის გაგება შეეძლო; სადმე რომ გაისეირნებდნენ, აუხსნიდა—აი საქართველოში ამისთანა და ამისთანა ადგილები არის, კიდევ უფრო ღამაზია.

თავის მეგობრებსაც მუდამ იმას გვთხოვდა, ჩემს გოგის ხშირად ელაპარაკეთ ქართულად და საქართველოზეო. ცდილობდა, ბავშვისთვის ქართული ატმოსფერა შეექმნა, სულ ქართველებში ყოფილიყო, ქართული ამბები გაეგონა.

ამ ცდამ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო. ბავში დღეს ჯერ კიდევს ექვსი წლისა არაა, ქართულს საუცხოვოდ ლაპარაკობს, ქართული შეგნება აქვს (რასაკვირველია, ფრანგულიც მშვენიერად იცის). ასეთს დამახასიათებელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: დედა მასწავლებელია, შვილი სკოლაში ყავდა და სხვა ბავშვებთან ერთად მასაც დაუკვეთა ფრანგული ი-ს მრავლად დაწერა რვეულში. გოგამ ორი თუ სამი ფრანგული ინი დასწერა და მერე სულ ქართული ინები მიაყოლა. დედამ რომ ნახა, ჰკითხა: ეს რა გიქნიაო? შვილმა უპასუხა: მე ხომ ქართველი ვარ და ქართულად დაწერეო, ფრანგულად რატომ უნდა დამეწერაო!

სხვა მსგავს შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. განსვენებულს ისე არაფერი გაახარებდა, როგორც მისი შვილის ეს ქართველობა, ქართული შეგნება, და ისე არაფერი აწუხებდა, როგორც მისი შიში, რომ შვილი არ დაჰკარგოდა სამშობლოს.

უკანასკნელად რომ ავად გახდა, ცოლს სიყვარულით დავედრა: მე რომ რამე დამემართოს, გოგის ქართული და ქართველობა არ დაავიწყო და პატარა თამრიკოსაც (მეორე შვილია, მალე ერთი წლის იქნება), ენას რომ ამოიღებს, ქართული შეასწავლეო...

პატარა ამბავია, მაგრამ რამდენად ღრმა და ბევრის შეტყველი.

გვახსოვდეს ის ყველას. შენ კი, ჩვენო ძვირფასო დათიკო, ტკბილად განისვენე და დარწმუნებული იყავი, რომ არ დაივიწყებს ამას შენი ერთგული მეუღლე, რომელსაც შენ ასე შეაყვარე საქართველო!

ს. ფინცხალავა.

უკანასკნელი საღამო

შაბათი, 9 ნოემბერი—გამოთხოვების სამწუხარო დღე...

ბუნებაც მწუხრის ზეწარში გახვეულა. შემოდგომის სუსხიანი ქარი დასტირის მიდამოს. პირშეკრული ცა ცივ ცრემლებს აფრქვევს არე-მარეს. ადამიანი და ბუნება მწუხარებაში გაერთიანებულია.

სამის ნახევარზე დანიშნულია ჩვენი გახეთის სარედაქციო კოლეგიის წევრის და ღირსეული თანამშრომლის დათიკო შარაშიძის გამოსვენება. კუბო დიდიდანვე დასვენებულია ლევილის შატოს მისაღებ დარბაზში. მიუხედავად ცუდი ამინდისა აღრიანად იყრიან თავს განსვენებულის ამხანაგ მეგობრები და პატივისმცემელნი.

კუბოს ირგვლივ შემოკრბენ ჩვენი ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის ყველა ხელმძღვანელ-მონაწილენი ნ. ჟორდანიას მეთაურობით. აქვე არიან ქართულ კოლონიის თავმჯდომარე, ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მეთაურები, საბჭოთა კავშირის მძიმე ბორკილებში ჩაჭვდილ დაჩაგრულ ერთა—უკრაინის, ადერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის და თურქესტანის—წარმომადგენელნი, ლევილის მერი (თემის თავი) და ხმოსნები, განსვენებულის ფრანგი ნათესავები და მეგობრები... ვისაც კი შეეძლო და ხელი მიუწვდებოდა, ყველა გამოცხადდა, რათა უკანასკნელი საღამო მიეცათ ღირსეულ ქართველისათვის და სამუდამო განსვენების ადგილამდე მიეცილებათ ყველას მიერ პატივცემული და ყველასათვის საყვარელ ადამიანის ცხედარი.

სულ ოციოდე წუთის განმავლობაში კუბო დაიფარა ცოცხალ ყვავილების გვირგვინებითა და თაიგულებით; მათ შორის ყურადღებას იქცევდენ გვირგვინები საქარ. სოც.-დემოკრატიული პარტიის და «ბრ. ხმის» რედაქციის, «დამ. საქართველოს» რედაქციის, პარიზის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის, საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის, «სოც. აზრის» ჯგუფის, ახლო ამხანაგებისა და მეგობრების, ადერბაიჯანის, ეროვნულ ცენტრის, ლევილისა და ოსმუას კომუნალური სკოლების, ბულონბიანკურის ამხანაგების, და სხვათა მრავალი.

დანიშნულ დროზე განსვენებულის კუბო ნ. ჟორდანიამ და ახლო მეგობრებმა დარბაზიდან გამოიტანეს და კათაფალკაზე დაასვენეს. მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო პროცესია ნელის ნაბიჯით გაემართა ლევილის სასაფლაოსაკენ. გზად გავლისას განსვენებულს უკანასკნელი საღამო მისცეს კომუნალური სკოლის წინ მწყობრად ჩამწყობრებულმა მოწაფეებმა და მათმა მასწავლებლებმა.

სასაფლაოს კარებთან კუბო ისევ ამხანაგ მეგობრებმა გადმოიტანეს კათაფალიდან და სასაფლაოს შუა ადგილას დაასვენეს; მას გარს შემოერთა მთელი პროცესია. პირდაღებულ სამარის წინ სამარისებული სიჩუმე დამყარდა. დაიწყო სიტყვები. მგრძობიარე სიტყვები წარმოსთქვეს და განსვენებულის ღვაწლი აღნიშნეს ერისა და ქვეყნის წინაშე გ. გვანავამ (ფრანგულათ), ქართული კოლონიის თავმჯდომარე დ. სხირტლაძემ, სვ. მდივანმა, რ. არსე-

ნიძემ, ევ. გეგეჭკორმა და ვლ. მგელაძემ. დაჩაგრულ ერების სახელით ილაპარაკეს რასულ ზადემ (ადერბაიჯანი) და ერემევემა (უკრაინა). პირველმა თურქულად, უკანასკნელმა ფრანგულად.

დადგა გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. განისმა მწარე ქვითინი: დაქვრივებულ მეუღლის უსახლვრო მწუხარებით აღსავსე მოთქმას შეუერთდა ამხანაგ-მეგობრების გულის მომშხამველი კვნესა.

მწუხარების მიუწდომელ ტკივილებით გაცოფებული მეუღლე დაეკრა თავის ძვირფას დათიკოს კუბოს; ვერ ცილდებოდა, ვერ ელეოდა... განშორება არ უნდოდა. დიდის გაჭირებით მოგლიჯეს კუბოს და ხელით წაიღეს სასაფლაოს კარებამდე.

ცხარე ცრემლებად დამდნარმა მეგობრებმა და პატივისმცემლებმა უკანასკნელი მშვიდობითი უთხრეს საყვარელ სამშობლოს უდროოდ დაკარგულ ღირსეულ შვილს და უცხო მიწას მიაბარეს მისი ცხედარი. მაგრამ მიაბარეს დროებით და იმ ღრმა რწმენით, რომ მადლიერი ქართველი ერი არ დაივიწყებს საქვეყნო საქმისათვის უცხოობაში თავადებულ შვილთ და, რა წამსაც თავს დააღწევს დღევანდელ მწარე ტყვეობას, მათ ნაშთს დაუბრუნებს სამშობლოს ტკბილ მიწას.

მანამდე კი, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, დამშვიდებით განისვენე ყველა ღვინოთა და ეულთა მეორე სამშობლოს მიწაში.

ბ. აბიძე.

სამძიმრის წიკილები და ღვივებები

განსვენებულ დათიკო შარაშიძის ოჯახობამ მიიღო მრავალი სამძიმრის დეპეშები და წერილები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ყენევის უნივერსიტეტის პროფესორის ედგარ მილოს (ნ. ჟორდანიას სახელზე), პროფესორ მალშის («Comité inter. pour la Georgie»-ის თავმჯდომარე) და ჟან მარტენის («Journal de Genève»-ის დირექტორი) წერილები. პროფ. ედგარ მილო იგონებს დათიკოს სტუდენტობას ყენევის უნივერსიტეტში და ახისიათებს მას როგორც საუკეთესო სტუდენტს, რომელიც «ყველას ანციფერებდა თავისი ჭკუით, განვითარებით და აზრის სიმწიფით»; «რომ მას თავისი ნიჭი მხოლოდ მეცნიერებისათვის შეეწირა, მას უთუოდ ბრწყინვალე მომავალი ექნებოდაო», დასძენ დათიკოს ყოფილი პროფესორი.

სამძიმრის დეპეშები და წერილები მოვიდა აგრეთვე მარკედან (დეპუტატი, ყოფილი მინისტრი), მუტედან (დეპუტატი), ქ-ნ პიუიედან, ალ. შულგინისგან—(უკრაინელთა სახელით), შახმანისაგან—(მთიულეთა სახელით), ჩოკაევისაგან—(თურქესტანელთა სახელით), ვარშავის, სოშოს, ბელგიის და ბორდოს ქართულ კოლონიებისაგან, ორი დეპუმაბერლინელ მეგობრებისაგან, სოშოს «სოც. აზრის» ჯგუფისაგან, პრალელ მეგობრებისაგან, კარლ და ლუიზა კაუცკების, მ. ხუნდაძის, ღამბაშიძის, ნიკოლაძის, ე. და ლ. ჰურუშაძეების, ქ-ნ კობახიძის. მიღებულია მრავალი დეპეშები და წერილები აფრანგებისა და სხვა უცხოელების.

ს ა ბ ზ ო ტ ა ჟ ლ ი ს თ ა ვ ი

კიდევ ერთი წლისთავი საბჭოთა რეჟიმისა, წითელ ტერორისა, მონობისა, ჩაგვრისა, დევნისა. ბოლშევიკები ხარობენ, ზეიმით ეგებებიან 18 წლის შესრულებას მას აქეთ, რაც ხელთ იგდეს სახელმწიფოს საჭე, რაც ფეჩქვეშ გასთელეს თებერვლის რევოლუციის მოპოებულნი უფლებანი.

დროშები და პლაკატები, როგორც გადმოგვცემენ მოსკოვიდან სააგენტოები, წელსაც ბლომათ იყო, ალღუმი, პროცესიები, გართობები თავთავის რიგზე ჩატარდა. სტალინის და მისი ანტურაჟის ლენინის ტრიბუნაზე გამოჩენას «აუწერელი ალტაცებით» შეხვდა ხალხიო, დიპლომატიური კორპუსი ფეხზე დგომით მიეგებაო. წარწერებიც პლაკატებზე ისეთი მყვირალა არ ყოფილა, როგორც ჩვეულებრივ, ვერ წაიკითხავდით, მაგალითათ, ბოლშევიკურ წასისინებას ამა თუ იმ ქვეყანაზე, ამა თუ იმ მთავრობაზე. გამონაკლისს წარმოადგენდა გერმანია და მისი ბელადი: გამოიყვანეს ტიტველი გერმანელი, თავზე ცილინდრი დააცვეს და ურტყეს იმდენი, სანამ სახე არ დაეფარა მთლათ. ეს ულაზათო ყენნობა მხოლოდ ამქავენებდა მოსკოვიტების შიშს პიტლერის გერმანიის წინაშე. სხვადასხვა ფერის მოწოდებანი, «სოციალისტურ სამშობლოს» დასაცავათ, აშკარათ მოწმობენ ამას.

ამრიგათ, საბჭოთა კავშირის «გაეფროპილება» ხალასი ფაქტიაო—დასძენდენ სააგენტოები—და საბჭოთად მოაქვთ ახმას სახელმწიფოს იერარქიულათ ჩამოსხმა, სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატის დანაწილება, დამსახურების და ხარისხის მიხედვით, მუნდირები, ჩინები, მედალ-ვარსკვლავები და მათი ტარების უფლება სამსახურიდან გასვლის შემდეგაც. მტკნარი სიცრუე გამოდგა, ვითომ სძლიეს «კლასები», ვითომ შექმნეს «უკლასო» საზოგადოება; არც ერთ ქვეყანაში არაა ისეთი უთანასწორობა, იმდენი პრივილეგიები, თვითნებობა, ბოროტმოქმედება, რამდენიც საბჭოთა კავშირში. სტალინის ბრძანება კადრების, წარჩინებულთა (ზნატნიე ლიუდი) შესაქმნელათ სისრულეშია მოყვანილი, მაგრამ მან ბრძანა აგრეთვე ადამიანის მოვლა, «მოშენება», ისე როგორც მებაღე აშენებს თავის ხეხილსო!

ეს კი მაჩვენებელია დიქტატორის ბუნებრივი მოთხოვნის, დაიხლოვოს შავი ხალხი, გახდეს მისი სათაყვანო. ესეც მიღწეულია, როგორც ეტუობა, რადგან «მართლმორწმუნე» რუსის ხალხს არასდროს არ უტარებია იმდენი ხატი, რამდენიც მან

ატარა სტალინის სურათი მოსკოვში. მარქსის, ენგელსის, თვით დიდი ლენინის სურათები გახუნდა, დაცვდა, ახალს არავინ ხატავს, ხელგონებაც ხომ დიქტატორის ბრძანებას ასრულებს.

ერთი მაინც უკვირს ყველას, უცხოელნი ვერ შერიგებიან, რომ სტალინი არ იშორებს თავის ფარაჯას, მაღალ ყელიან ჩექმას. როცა ის ფრაკში გამოეწყო იდენტან თუ ლავალთან სადარბაზოთ, იმედი მოეცათ, იქნებ ესლა მაინც იცვალოს ზნეო, მაგრამ ამაოთ. მას აღყავს «მარშლად» ვორშოლოვი, ბუდიონი და სხვები, თვითონ კი ისევ პარტიის მდივნად რჩება.

ამიტომაც კიდევ, რომ რუსის სოციალისტები ასე თავდადებით იცავენ საბჭოთა «პერმანენტულ რევოლუციას» პიტლერის გერმანიისაგან, საფრანგეთის ტერმიდორისაგან. რუსეთის რობესპიერი ილიმება ალბათ ამის გაგონებაზე, არავინ ბედავს მის გილიოტინაზე მითრევის, ჯერ თვითონ ხოცავს ათას და ათი ათასებს ჩეკის ჯურღმულებში, სოლოლოვკებში, ვეება არხების გათხრაში.

ამასაც არ სჯერდება, ლამობს გლეხების მიზიდვას, მოყვავილებას. კოლხოზთა თავისუფალ არტელებად გამოცხადება, მათთვის მიწა წყლის სამუდამოთ მიკუთვნება, თვითეულ კოლხოზისთვის პატარა ეზოს, საბოსტნეს მიმიჯვნა, კერძო საკუთრების სახით, უფლება ორფეხ და ოთხფეხ ცხოველთა ყოლისა, მათი თავისუფლათ ყიდვა-გაყიდვისა,—ყველა ეს «რეფორმები», ცხადია, დიქტატორს იმ მიზნით გაჰყავს, რომ გლეხები შეურიგდენ მას, იცხოვრონ «მდიდრათ» (ზაქიტოანო), «იმხიარულონ, იბედნიერონ». სტალინის მოყმე პრესა უკვე არ მალავს, რომ კერძო საკუთრების ინსტიქტი ისევ იმარჯვებს, თითქო ოდესმე დაეძლიოთ ის! ყოვლად შემძლე დიქტატორი ქედს იხრის მის წინაშე და შესაფერ ზომებს იღებს აგრეთვე ქალაქებში.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, ეგრწოდ. პაიკების ანუ კარტების მოსპობა შარშან პურზე, წელს დანარჩენ სანოვაგეზე. თანასწორობა სრულია: გაქვს ფული, შეიძენ რაც გინდა, არა გაქვს—იმიშმილე, გინდ მოკვდი. ამას ეძახიან «პროლეტარიატის დიქტატურას!» მუშას ერთი უპირატესობა მაინც ჰქონდა—შეიძინა შედარებით იაფათ პირველ საჭიროების საგნები, ესლა ევეც მოუსპეს და თვითუი ხელფასი ერთ კვირასაც არ ყოფნის. მართალია, ხელფასს მოუმატეს დაახლოებით 5 მილიარდი

მანეთი მთელი კავშირის მუშებისთვის, მაგრამ მთავრობა იგებს არა ნაკლებ 17 მილიარდ მანეთისა კარტების მოსპობისგან! ამ მოგებაზე ირონიით მიუთითებს ლონდონის «ტაიმსი» და ურჩევს ბოლდვინს მიბრუნებას...

საბჭოთა დიქტატორი თანდათან მევახშედ იქცა, ისეთ მევახშედ, რომლის მზგავსი დაწინაურებულ ქვეყნების დიქტატორებს არც კი მოზმანებიათ. მართლაც, აიღეთ წვრილი ვაჭრობა, რომელიც სახელმწიფოს ხელშია (ვენტურტორგ), რას უდრის ის წელიწადში? 80 მილიარდ მანეთს. რამდენს ხარჯავს გასაყიდ საქონლის შექმნაზე? 28 მილიარდ მანეთს. განსხვავება? 52 მილიარდი წმინდა მოგება! აიღეთ ესლა მაგალითისთვის ზოგიერთი საგანი. პროფეს. პროკოპოვიჩის ოქტომბრის ბიულეტენი აჩვენებს: სახელმწიფო აძლევს გლენს კილო ხორბალზე 10 და 6.5 კაპ., კარაქზე—2 მან. 50 კაპ., ლიტრ რძეზე—15 კ. და თვითონ ყიდის კილოს ფქვილათ თეთრ და შავ პურს 1 მან. 60 კაპ. და 1 მან. 50 კაპ., კილო კარაქს 16 მან., ლიტრ რძეს 1 მან. 80 კაპ. რაა ეს თუ არა ცარცვა შარა-გზაზე? იგივე ბიულეტენი აჩვენებს «ვენეტორგის» ფასებს: სახელმწიფო ყიდის უცხოეთში თეთრი ხორბლის ფქვილს კილოს 3.7 კაპ., თითქმის სამათ ნაკლებათ ვინემ თვითონ უჯდება და 50-ჯერ მეტათ ვინემ გლენს აძლევს; კილო კარაქს 31.5 კაპ. იძენს უცხოელი, საბჭოთა ქვეშევრდომი კი 16 მანეთად; კილო შაქარს 7.6 კაპ., შინ კი 4 მან. 90 კაპ.

მეთაურს ვერ ავაჭრელებთ ციფრებით, მოტანილიც ცხად ჰყოფს, თუ რა გაუგონარ ზომას აღწევს ბოლშევიკების მოგება, ან უფრო სწორათ—ცარცვა-ყველფა მთელი 170 მილიონ მცხოვრებისა. მათი სახელმწიფო «სოციალიზმი» აჯარბებს ამ მხრივ ყველა ქვეყნის კაპიტალიზმს, ერთათ აღებულს. მოსკოვიტები ებრძვიან კოლონიალურ იმპერიალიზმს, ხოლო არც ერთ კოლონიაში არ მიუღწევიან ცარცვა-ყველფას ამ ხარისხამდე.

მაგრამ ესეც ხომ არ იკმარეს! ბევრსა სწერენ, ყმედობენ ამ უკანასკნელათ სტახანოვცების მოძრაობაზე, თვით სტალინმა გამართა მათთან თათბირი ამ დღეებში კრემლის დარბაზში და წარმოთქვა სამადლობლო სიტყვა, რომელსაც «ტანი» ისტორიიულს ეძახის. მართლაც ისტორიულია სამუშაო ძალის უმწვერვალეს ყველფის მხრით, ამაში კი გაუსწრეს ფორდს, მთელს ამერიკას. სტახანოვცი მალარობეშია, ლიტონის დაზგის თუ საქსოვ მანქანის

წინ. ამზადებს 50-ჯერ მეტ საქონელს ვინემ ჩვეულე-ბრივი მუშა. რამდენი ძალა, ენერგია, სიმრთელე უნდა დაკარგოს მუშამ ამისათვის?! ეს ჯერ არავის გამოუთვლია, არც არავის ადარდებას. ფაქტია, რომ მუშას არ ყოფნის ხელფასი, იძულებულია გააორმოცდაათკეცოს შრომის ნაყოფიერება, რომ გაათკეცოს ხელფასი, მეტს მაინც არ მისცემენ. ამ საფასურით იწვევს ის ზიზღს, სიძულვილს ამხანაგებში, სპეციალისტებიც, დირექტორები ებრძვიან ამ ჯოჯოხეთურ სისტემას, ხოლო ხელისუფლება დევნის უკანასკნელთ სასტიკათ...

ერთი დასკვნა. რა ყოფილა ეს «სოციალისტური სამშობლო», რომლის მთლიანობისთვის ასე თრთის სტალინი, მთელი მისი ურდოები? ერთი ვეება სავაჭრო სახლი, სადაც ყიდიან მამასისხლათ, ხოლო ყიდულობენ მუქათათ, სადაც გეპეუს თავისი მრწველობა აქვს და ამუშავებს პოლიტიკურ ტყვეებს მილიონობით, სადაც ავაზაკნი დაპატრონებიან ადამიანის ქონებას, სიცოცხლეს. ესლა ყველა ეს გადაქეთ ნაღებზე, ახდენენ ფულის სტაბილიზაციას, ერთ მანეთს სამ ფრანკს უთანასწორებენ, ლამობენ მსოფლიო ბირჟაზე გამოსვლას, ახალი სესხების აღებას და სხ.

რა თქმა უნდა, ყველა ეს მოასწავებს ლენინისკენ გადახვრას, ნების მკვდრეთით აღდგომას და, უნდა ითქვას, დიქტატურა იხევს, დამარცხდა გლენთან ბრძოლაში, ვერ სძლია კერძო საკუთრების პრინციპს, რადგან თვით კომუნისტებიც ამ პრინციპს მიემხრენ, ისაკუთრებენ ყველაფერს «მხიარულ და ლამაზ ცხოვრებისთვის». ამ პრრცეს თავისი რკინის კანონებიც აქვს, ბრძოლა მყველფელთა და გაყველფელთა შორის უმაღლეს წერტილს აღწევს, შეუძლებელია არ გასკდეს შინ თუ გარეთ, ასპარეზი ორ ბანაკად არის გაყოფილი: ერთის მხრით, ავაზაკი ხელისუფლება, მეორეს მხრით, მის მიმართ სიძულვილით და შურისძიებით გაუდენთილი ხალხი.

საჭიროა დავსძინოთ ამას, თუ როგორის მოუთმენლობით მოელიან ამ განკითხვის დღეს საბჭოთა კავშირის არარუხი ერები? მათ ხომ, გარდა სოციალ-ეკონომიურ ყველფისა, ეროვნული ჩავგრის საშინელი უღელი ადევთ კისერზედ. ცხადია, მათი მონაწილეობა საეპოქა განმათავისუფლებელ ბრძოლებში გადამჭრელ როლს ითამაშებს, გადამჭრელს იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოელს «მთლიან სოციალისტურ სამშობლოს», სამარცხვინო ისტორიულ სავაჭრო სახლს.



კავკასიის კონფედერაციის კითხვების ირგვლივ

(საკულისხმოდ პარალელები)

ცოტა უფრო მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს ბნ ვრაციანის წერილი, იმავე გაზ. «არაჩუი» მოთავსებული. ჩვენ შეძლება გვქონდა გაცნობილით მხოლოდ პატარა ნაწყვეტს ხსენებული წერილისას, ისიც ფრანგულად ნათარგმ ტექსტის საშუალებით, რომელიც ყურნალ «Prométéé»-ს დაებეჭდა, თავის № 93—94-ში. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, მთელი წერილი რომ წაგვეკითხა, სხვა შთაბეჭდილებას გამოგიტანდით, რადგან, დაბოლოს, პატივცემული ბ. ვრაციანი კარგი სომეხიც არის და, ვინც მას იცნობს, ქართველების მტრადაც არ დასახვს. მისი ფიქრით ისე გამოდის, რომ ქართველ სომეხთა ურთიერთობა ისე შორს უდგას ერთი მეორეს, მათი ძირითადი ინტერესებით, რომ ამ ერების დაკავშირება შეუძლებელი ხდება. ავტორი ჩამოგვივლის ისტორიულ ფაქტორებს, რომელთაც საქართველო, თურმე, იმ გზით წაუყვანიათ, რომ მას ერთად ერთ მტრად რუსეთი მოსჩვენებია, ოსმალეთი და სპარსეთი კი დადებით და დამხმარ ძალებად. მაშინ როდესაც სომეხებს მტრებად ეს უკანასკნელნი მიაჩნიათ და რუსეთი კი იმ «ნატურის თვალად», სადაც დაუბრკოლებლივ მოხდება სომეხთა ძალების ფართე გაშლა-განვითარება. ცოტა არ იყოს ბ. ვრაციანს ნამეტნავად გაუშარტივებია ჩვენი ორი ერის ისტორია. საქართველოს მუსულმანთა სახელმწიფონი. მის დამსხნელ ფაქტორად რომ ოდესმე სჩვენებოდა, რუსეთი კავკასიაში ხომ ფესვაც არ შენოსდგამდა. ხსენებული ავტორის მტკიცება არც თუ სომეხებისათვის არის სწორი. მათაც რომ რუსები მტრად არ ყოლოდათ მიჩნეული, მაშ რით აიხსნება სომეხების თავდადებული ბრძოლა იმ რუსეთთან, რომელიც მათ ეკლესიებს, საეკლესიო ქონებას და ენას შეეხა?.. სომეხების, საერთო თუ სასულიერო ორგანიზაციებს, დიდი გამოხვლები, და რევოლუციონერთა თავდადებული ტერორისტული აქტები, განა ეს რუსების სიყვარულით მოსდიოდათ მათ?

ბ. ვრაციანის არც თუ სხვა ისტორიული ექსკურსიებია ნამდვილი. იგი ამბობს ქართველებს ვეჯავრებით იმიტომ, რომ ჩვენ, სომეხებმა, საქართველოს «არმენიზაცია» მოვახდინეთ და სხვა... რა საჭიროა დღეს დამალვა იმისი, თუ როგორ მოხდა სომეხების დასახლება საქართველოში და მით ჩვენი ქვეყნის ვითომდა «არმენიზაცია».

სულ პირველად უნდა ითქვას, სრულიად კატეგორიულად. რომ საქართველოს «არმენიზაცია» არც ესლა არ არის მართალი, იგი ვერ მოხდა და ვერა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მეფეებიც ასახლებდნენ მათ ჩვენს ქვეყანაში. ფილანტროპიული თუ პოლიტიკური მიზნებით, უფრო კი ფილანტროპიულის, და რუსეთის მთავრობაც, რასაკვირველია, ქართველების ინტერესების შესაბამისად, და არა სომეხების სუყვარულით. აბა სადაური «არმენიზაცია» საქართველოს მოსახლეობის ასეთი დანაწი-

ლება: საქართველოს სოფლებში სომეხთა შეადგენს სულ რაღაც 7,6 პროც., მაშინ როდესაც ქართველებია 72,45 პროც. საქართველოს ქალაქებში სომეხთა სულ 25,16 პროცენ., მაშინ როდესაც ქართველები 48,25 პროცენტი. საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში, 1929 წლის აღწერით, სომეხებზე მოდის 33 პროც., ქართველებზე კი 42,9 პროცენტი. აი კიდევ რამდენიმე დამახასიათებელი ციფრი. წარმოებდათა და დაწესებულებათა რიცხვი 1920 წელს:

მთლად საქართველოში	2.219	
კერძოდ ტფილისში	849	
მათში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი:		
მთლად საქართველოში	50.783	
კერძოდ ტფილისში	19.912	
მთლად მუშათა რიცხვი არიან:		
ქართველები	33.358	} 50.638
სომეხები	5.831	
რუსები	7.686	
დანაშთენი ეროვნებანი	3.808	
ტფილისში მომუშავეთა დანაწილება ასეთია:		
ქართველები	9.544	} 18.546
სომეხები	2.834	
რუსები	4.365	
დანაშთენი ეროვნებანი	1.803	

ასეთი ყოფილა მდგომარეობა 1920 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ჩვენი ერის სტრუქტურა ჯერ კიდევ განიცდიდა ცარიზმის დროის დამყარებულ პოლიტიკურ ყოფას. ამას ჰქვია, საქართველოს «არმენიზაცია»?

გნებავთ კიდევ ერთი ცნობა: დიდი ომის წინ იყო (დაახლოვებით)—ღირებულობა სამრეწველო ნაწარმოების:

ქართული კაპიტალით 6.777.200 მან.
სომეხური კაპიტალით 6.050.500 მან.

ე. ი. თითქმის თანაბარი. დაე ეს ცნობები მოითხოვენ შესწორებას, რადგან სტატისტიკა, რომელსაც ჩვენ ვემყარებით, მართლაც თხოულობს შესწორება-შემოსწორებას. დაუშვათ, რომ სომხის კაპიტალის ღირებულობა ქართველებისაზედ მეტიც იყოს, მაგრამ გადაამეტება არაფერში არაა დასაშვები.

ამ წარმოებაში სომეხებს უთუოდ საპატიო ალავი უკავიათ, მაგრამ მათი მონაწილეობა ჯერ კიდევ შორს არის იმაზედ, რომ საქართველოს «არმენიზაცია» მომხდარიყოს. საქართველოს ეკონომიკის სინასდვილეს სურათი ისეთია, რომ არავის აქვს უფლება სთქვას, ვითომ ქართველები საქართველოში მხოლოდ «მომხმარე» (ე. ი. მქამელია) და სომეხია ერთად ერთი «მწარმოებელ-შემომქმედი» როგორც ამას ამტკიცებს ბ. ვრაციანი თავის წერილში.

საქართველოს ექსპორტის ღირებულობა, ომის წინ თითო მცხოვრებზედ მოდიოდა 17 მან. 50 კაპ.,



მაშინ როდესაც რუსეთის საშუალო ნორმა იყო მხოლოდ 8 მან. 50 კაპ. საქართველოს ექსპორტის მასსა შესდგებოდა ოცნედ მეტ საქონლისაგან და ყველა ეს ქართული სოფლის ნაწარმოებია. ამ სოფელში სომხობა კი მხოლოდ 7,6 პროცენტს შეადგენდა და აბა როგორ უნდა უკიჟინოს მან ამის შემდეგ ქართველ მოსახლეობას, რომ იგი არ იყო მწარმოებელი თავის ქვეყანაში!.. ჩვენ გვწამს, რომ სომართლის ასეთი დამახინჯება საქმის უტოლდინარობის შედეგია და არა მტრული განზრახვის...

ვერც იმას მიხვდება ერთბაშად გარეშე მკითხველი, როდესაც წააწყდება ბ. ვრაციანის იმ სიტყვებს, სადაც იგი ამბობს, რომ სომხების თანდათანობითი შემოსვლა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო. რატომ პირდაპირ არა ვსთქვათ, რაც მოხდა. ეს «შემოსევა» სომხების მათის უნარიანობით და ქართველების უმძიმედობით კი არ მომხდარა, არამედ რუსების ხიშტების წყალობით; ამ უკანასკნელმა ძალამ გარეკა საქართველოს ორიოდ მაზრებიდან ქართველები და მათ მაგიერ სომხები დაასახლა. იმ დროს რუსეთი ჯერ მზად არ იყო, რომ «ერწერუშკოვ კახაჩესტვოს» ხერხები მიეღო სვენი და საქართველოს-მალეთის საზღვარზე, რაკი იგი რუსებს ვერ ასახლებდა, ამჯობინა იქ სომხების მოსახლეობა გაეჩინა. ამითი იგი ორ კუთრდელს იჭერდა: ქართველებსა და სომხებს შორის შესაძლებელი შუღლის დათესვით და მალეთის საზღვარზე მისგან «გაბედნიერებული» სომხების გამოყენებით. ეს სიმართლე უთუოდ უნდა ითქვას და დროა, რომ ჩვენი ძველთა-ძველი მეზობლები სომხები და სხვებიც ჩახვდენ, რომ მომავალშიც ამნაირად, რუსების ხიშტების წყალობით შემოპარვა, ვინც უნდა იყოს იგი, საქართველოს ტერიტორიაზე დიდი დანაშაულია ქართველი ერის წინაშე, რომელიც, სხვა არა იყოს რა, კავკასიის რესპუბლიკათა შორის ყველაზე უფრო მეტად განიცდის მიწის შევიწროებას. ამის საილუსტრაციოთ საკმარისია ასეთი ცნობა მოვიყვანოთ:

მოდის თითო კომლზე მიწა:

სომხეთში	5,08 დესეტ.
ანერბაიჯანში	6,7 „
საქართველოში	3,8 „

ამ შევიწროებული მდგომარეობის მიზეზია, და არა რაიმე სხვისა, რომ ყველაზე მეტი «ღარიბი» გლეხობა სწორედ საქართველოში მოიპოვება. აი ბოლშევიკების მიერ მოცემული ცხრილი:

«ღარიბი» გლეხები საქართველოში	41,2 პროც.
„ „ ანერბაიჯანში	18,6 პროც.
„ „ სომხეთში	14,8 პროც.

და აბა ამ პირობებში უცხოელების გადმოსახლებით რაღა საქართველო უნდა დაიჩაგროს! ბ-ნი ვრაციანი ცოტა არ იყოს სინამდვილეს იქაც ამხინჯებს, როდესაც ამბობს, რომ ქართველები ისე არიან სომხებზედ აბრეხილნი, რომ არამც თუ ეწინააღმდეგებიან მათი ახალი ჯგუფების საქართველოში დასახლებას (ეს მართალია!), არამედ ძველად დასახლებულების განდევნასაც კი მოითხოვენო. აი ეს უკანასკნელი არ არის სწორე. ქართველები ვამბობთ:

წინად რაც მოხდა-მოხდა და რაც რუსების ხიშტებმა სომხებს ჩააბარა ქართული საკუთრება, ღმერთმა მოახმარათ მათ, მაგრამ ამიერიდან კი კმარა, და ეს პოლიტიკა უნდა მოისპოს. ვინც საქართველოში სომხები სცხვრობენ, მათ ქართველები ისე ვუყურებთ, როგორც ქართველებთან ერთად სრულუფლებიან მოქალაქეთ.

აქაურ ემიგრანტულ არაქართულ გამოცემებში ამნაირ უცნაურობასაც კი წააწყდებით. ჩვენი დამოუკიდებლობის სამტროდ დარახმული წამოგვახებენ: «სულ საქართველოს დამოუკიდებლობას რომ გაიძახითო, ახლა-ზოგი სომხებსაც ჰკითხეთ, სურთ კი მათ თქვენი თავისუფლებაო? ნუ გაგვიწყდებათ, რომ საქართველოში სომხები 300 ათასი სულიაო!» ამაზედ ივერნი უპასუხებენ: თქვენც ნუ დაგავიწყდებათ: სომხები საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11-12 პროც. შეადგენენ. როგორც საქართველოს მოქალაქენი ჩვენი სომხები ქართველებთან ერთად, სინარულით მიეგებნენ ჩვენი საერთო სამშობლოს განთავისუფლებას და თუ ეხლა იმას ბრძანებენ, რომ რაღაც ორიოდ მაზრასი და ქალაქში სომხების რიცხვი დიდია, ნურც ამას გაიხდიან მძლავრ არგუმენტად. საერთო რიცხვი ეროვნულ უმცირესობათა საქართველოში მხოლოდ 25-27 პროც., სწორედ იმდენი, რამდენიც ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოებში მიდის. პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბალტიის რესპუბლიკებში და სხვ. ნაციონალური უმცირესობა ზოგ მაზრებში 30-40-80 % ია.

კერძოთ პოლონეთში, მაგალითად, საქმის ვითარება ასეთია. უკანასკნელი სტატისტიკურის ცნობებით პოლონეთის მთელი მოსახლეობა შეადგენს 32.132.936 მცხოვრებს. აქედან მხოლოდ 22.208.676 მცხოვრებმა აღიარა, რომ იმისი სამშობლო ენა პოლონურია. ამნაირად ირკვევა, რომ პოლონეთში პოლონელები შეადგენენ მხოლოდ 69,1 პროც. და არა პოლონელი უმცირესობა ადის 30,9%-მდე. გუბერნიების (ვოევოდსტვო) მიხედვით არა პოლონელთა რიცხვი ასე ყოფილა დანაწილებული: ვილენის ვოევოდსტვოში 40,1 პროც., ნაცუმცირესობანი; ნოვოგრაძისა 47,7 პროც., პოლესიაში 83,5 პროც., ვოლინისაში 83,5 პროცენტი; თუ ავიღებთ აღმოსავლეთ გალიციას, იქ ასეა დანაწილება: ლვოვის ვოევოდსტვოში 42,1 პროც., ტარნოპოლის 50,5 პროც., და სტანისლავოვსკში 77,5 პროც.

შვეიცარიის კანტონებში: ყენევაში უცხოელები შეადგენენ 52 პროც. მთელი კანტონის მოსახლეობის, ასეთია მდგომარეობა ციურისშიც, სადაც 40 პროცენტზედ მეტია უცხოელებისა.

მაგრამ ამ ადგილებში არავის ჰკუთვით არ მსოფლიო ის კითხვები დაეყენებინათ, რასაც საქართველოს უყენებენ ზოგი მისი მტერ-მოყვარენი...

ბ-ნი ვრაციანის ნათქვამიდან თითქოს ისიც გამოდის, რომ საქართველოში ვაჭრობა მხოლოდ სომხების ხელში ყოფილიყოს. იმას ალბად, არც პატივცემული ავტორი უარყოფს, რომ დასავლეთ საქართველოში, წარსულშიც და ეხლაც, მოყოლებული შავი ზღვის ნაპირიდან კორტოხამდე ქართველი ვაჭარი იყო გამეფებული და არა სომხები. თვით ბა-



თუმცა ქართველებს არ დაუთმიათ თავისი პოლიტიკა სომხის ვაჭრებისათვის, რომელნიც თქმა არ უნდა, აქა იქ იმ მხარეებშიც სჩანდნენ. და თუ მართალი გინდათ, ბათუმში ქართველებსაც და სომხებსაც სხვა ეროვნებათა ვაჭრებმა აჯობეს: ბერძნებმა, ებრაელებმა, ევროპელებმა.

სომეხ ვაჭრების ჭარბობა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში სჩანდა და ისიც როგორც შედეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები მისდევდნენ ოსმალეთ-სპარსეთში აწიოკებულ სომხების მიმართ. ამ სომხობის საკმაოდ დიდი მასტაბით საქართველოში დაბინავებამ, სადაც ახლად გადმოსასლელულთ არ ქონდათ სხვა სახსარი ცხოვრებისა გარდა ვაჭრობისა, ჩვენს ქვეყანაში მოვაჭრეთა რიცხვის ერთგვარი «ინფლაცია» მოახდინა. ამითი აიხსნება ის ფაქტი, რომ სომეხი ვაჭარ-ხელოსანი იყო წარმომადგენელი წვრილი მეღუჭნის და ამნაირივე ხელოსანის; უმეტესად იგი იყო ღარიბი და უნიციატივო, სწორედ მატერიალური უღონობის გამო. ამნაირ ვაჭრებზედ განმარჯვება არც ისე ძნელი საქმე იქნებოდა ქართველებისათვის და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიური ვითარებების შეცვლის და ბატონ ყმობის მოსპობის შემდეგ, მეტადვე წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ, ქართველები კვლავ უბრუნდებიან ვაჭრობის ხელობას და თანდათან უკან ახევიანებენ სომხებს, რომელნიც იძულებული ხდებიან თანდათანობითვე დაუთმონ ალაგი ქართველებს. მეოცე საუკუნედან დაწყებული ქართველ ვაჭართა რიცხვი თვალსაჩინოთ იზრდება და ამიერიდან მის წინსვლას ველარავინ შეაჩერებდა. მეოცე საუკუნეში საქართველოში გრძელდება კოლუპერატიული მოძრაობა, სქელი ბადე ქართველთა კოლუპერატივების მოეფინა მთელს მხარეს და მან უფრო შეავიწროვა ყველა რჯულის ინდივიდუალური ვაჭრების ინიციატივა.

ქართველები ვაჭრობა-ხელოსნობას, სომხებთან ერთად, უძველეს დროსაც მისდევდნენ, მეტადრე როდესაც კონსტანტინეპოლი ჯერ არ იყო თურქებისაგან ჩაეკტილი. მთელი დინსტატიები იმ ქართველთა ვაჭრებისა დღევანდლამდეც არიან დაუმთენილი. რაც შეეხება მრეწველობას, უნდა ითქვას, რომ საქართველომ ფარგლებში სომეხი ვაჭარი ვერ ავიდა მრეწველთა საფეხურამდე. ამ დარგში თუ იყო რამე, ქართველები ბევრად არ ჩამოუვარდნენ სომხებსა. მარგანცის მრეწველობაში ქართველ მრეწველთ ეკუთვნოდა მთელი 40 პროცენტი წარმოებისა იქ სომეხთ სულ ორი შედარებით პატარა ფირმა იყო. ტყის მრეწველობაში, სპირტის, ტიპო-ლიტოგრაფიის, ღვინის დაყენების, შუშის და საპნის გაკეთების და სხვა ბევრშიც ქართველები ან სჭარბობდნენ სომხებს და ან პიონერები იყვნენ. ასე რომ ნამეტანია მტკიცება იმისი ვითომ მხოლოდ სომეხთა საქართველოში მწარმოებელ-ვაჭარ-ხელოსანი და ქართველი კი მომხმარებელ-მუშაველი. ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ სომხების მონაწილეობა ამ დარგებში უმნიშვნელო რამ ყოფილიყო.

გიორგი ქუთული.

ვაჟა ფშაველა

(გარდაცვალების ოცი წლის თავი)

1915 წ. შემოდგომაზე გარდაიცვალა ვაჟა ფშაველა. და თითქო ამ ოცი წლის მანძილზე იგი მყინვარით განდიდდა და ამაღლდა ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. მისმა თანადროულმა საზოგადოებამ ნაკლებად გაიგო ვაჟა. ბევრი მას აღმაცერად უცქერდა. შემდგომი თაობის ხედვაში ვაჟა გახდა საცნაური... ქართულმა კრიტიკამ ერთხმად იბრუნა პირი მისი შემოქმედების დაფასებაში.

რაშია ვაჟა ფშაველას შემოქმედების სიძლიერე, რომელიც ქართველ ადამიანს იზიდავს, ხიბლავს, აღლევებს? ვაჟა განსხეულებულია თავის შემოქმედებაში ისე, როგორც არც ერთი ქართველი მწერალი. და ეს შემოქმედება ათას წლოვან ქართულ მითოსის სინდლიდან მოდის. მისი პოემების გმირები გამოკვეთილია ამ მითიურ მასალიდან. ეს გმირები ხორციელად და სულიერად განუკვეთელია ვაჟას პიროვნებისაგან. თუ პირიქით: ვაჟაა მათგან განუკვეთელი. მისი პიროვნული ცხოვრება და მისი ლირიკა ამტკიცებს ამას.

ხელოვნურ შემოქმედებაში, რომელი დარგიც არ უნდა აიღოთ, არის ორი ძირითადი საყრდნობი: იდეების გარემო, მისი ცხოველყოფილობა თუ მარადიულობა. ამაში შედის, სულიერი და ნივთიერი ყოფის მთელი აღნაგობა. მეორე, ყოველივე ამის გამოკვეთა სისავსით, სრულქმნით, სრულყოფით.

ვაჟას შემოქმედების თავისებურებათა ყველა მწვერვალები ამ ძირითად და მნიშვნელოვან საყრდნობზეა ძირმდგმული.

ვაჟა ფშაველა განმარტობით სდგას ქართულ ხელოვნურ შემოქმედების სიტყვის ოსტატთა შორის. ამას აღნიშნავენ თითქმის ყველა მისი მკვლევარები. და ამას ხსნიან უმთავრესად ფშაველესურეთის განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრებით. ასეთი ახსნა სწორია, მაგრამ საჭიროა რკალის გაფართოვება. თუ ვაჟა, მხოლოდ კუთხურ ჩარჩოებში მოვაქციეთ, იგი ჩვენთვის გაუგებარი იქნება ისევე, როგორც მისი თანადროული საზოგადოების დიდი ნაწილისათვის. მართალია ვაჟა მთის ყოფაცხოვრებიდან, მისათას წლოვან მითოსიდან, მის სულიერ კულტურის საშობადან მოდის, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ თითქო ყოველივე ეს მთიულების კერძო კუთვნილება იყო. ასეთი იყო ოდესღაც მთელი საქართველო ისტორიულ წარსულში. მაგრამ ბარმა სხვა ევოლუცია განიცადა და ამ ევოლუციაში იგი გავითანდა, დაძაბუნდა, დამარცხდა, სავარეო მტრების თავდასხმებით. ის, რაც ბარმა დაჰკარგა, მთამ შეინახა. გმირული სული, გაუტყელობა, ადათის და ზნე-ჩვეულებების პატივისცემა, ეროვნულ თავისუფლებისადმი თავგანწირვა... სწორად შენიშნავს გ. ქიქოძე: «ფშაველესურეთი გადაურჩა, როგორც ქართული ფეოდალიზმის, ისე უცხოელი დამპყრობლების შეტევას, როგორც ზურაბ ერისთავის, ისე შაჰაბაზის რაზმებს, მას არასოდეს არ უტარებია ბატონყმობის მიმე უღელი და მოუდრეკელი, თავი»

სუფალი სული მოიტანა მეცხრამეტე საუკუნემდე. და მეცხრამეტე საუკუნე გარეგნულად საგარეო მშვიდობის და ეკონომიური წარმატების მაგრამ შინაგანად ეროვნული დაჩივების და გადაგვარების წანა იყო ჩვენს ცხოვრებაში. ვაჟა მთელი სიმწვავეით გრძობდა ამ შინაგან საფრთხეს. ქართული გმირობა, ვაჟაკობა, ეროვნული თავისუფლებისადმი თავგანწირვა, ადათისა და ჩვეულებისადმი პატივისცემა, მთაში რომ იყო შეხიზნული და ათას წლოვან მითოსში რომ იყო ჩაძირული, მან შესანიშნავი ოსტაბრებით განასახა, თავისი ვაჟაური სული ჩაბერა და მოძრაობაში მოიყვანა.

იგი აკაკისავით გარემოების საყვირად არ გადაიქცა, ცრემლად არ დადნა, ილიასავით დმერთს თავი არ დაანიშნია ერის საწინამძღოლოდ. ვაჟა მთიულეთის ქართულ მითოსში შეიჭრა, სადაც ჩვენი ეროვნული სულის მქლეობა ჯანსაღად იყო გადაჩენილი.

შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძემ ეროვნული იდეოლოგიის დადგენისათვის პირველად მოხევე ალაპარაკა თავისი საკუთარი კილოთი და სულის შინაგანი მძლეობით. და თქვენ გრძობთ, რომ მოხევეში ჩამორჩენილი კუთხის წარმომადგენელი კი არ ლაპარაკობს, არამედ ქართული რასა, ქართული სისხლი, ქართული ნებისყოფა, ცინცხალი, შეურყვენელი, ანკარა.

ვაჟა ფშაველას ენას უწუნებდენ, მაგრამ სწორედ ამ დამწუნებელთ არ ესმოდათ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ქონდა ამ გაურანდავი ფშავ ხევსურეთის კილოს შემოტანას ქართულ ლიტერატურაში. ამ დროს ჩვენი მწერლობა და სიტყვიერება ნეოლოგიზმით წელგაწყვეტილი მესამოცე წლების მოღვაწეთა ხელში ძლივს სულს იბრუნებდა. და ვაჟას როგორ შეეძლო სისხლ ნაკლული ენით ქართული გმირული სული აემეტყველებია. ხოლო ვაჟა ფშაველა რომ ქართული სიტყვის უდიდესი ოსტატია, ეს მან დამტკიცა თავისი პროზით, რომელსაც ჩვენს მწერლობაში ბადალი არ ყავს.

ვაჟა ჩამორჩენილი ადამიანი ეგონათ და დღესაც კგონიათ ზოგიერთებს. თითქო ვერც სემინარიის ქრისტიანულმა დოქტრინამ, ვერც რუსულმა უნივერსიტეტმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს მასზე, და ორთქლისა და ელექტრონის საუკუნეს იგი ჩაფხუტით წინ დაუდგა. ამ დებულებაში სწორი ისაა, რომ ვერც საქართველოში აშენებულმა რუსულმა სემინარიამ, ვერც რუსეთის რუსულმა უნივერსიტეტმა ვერ მოთურგნა ვაჟა. იგი არამც თუ ჩამორჩენილი, ეროვნული საზრისით წინ იდგა თავის თანამედროვეებზე. მან სემინარიის ქრისტიანულ დოქტრინას პანთეიზმი დაუპირისპირა. რუსულ განათლებას, ქართული სულის სიმდიდრე, ხოლო ელექტრონის— ორთქლის, ფრაკის, რუსულ ფარაჯის და ჩინ მენდლების ეპოქას— ჩაფხუტით. ჩონით და ხანჯალით დაუდგა წინ. ეს იყო დიდი პროტესტი და არა ჩამორჩენა. ვაჟას თავისუფლად შეეძლო რუსეთში გაცნობილ იდეების გადმოქართულება. თეთრი საყვლო და ევროპული ტანსაცმელი მას ისევე დაწვედებოდა, როგორც სხვა ჩვენ აზნაურებს თუ უაზნოთ.

მაგრამ მისმა გულმა არც ერთი მიიკარა და არც მეორე.

უდავოა ხომ ის დებულება, რომ ვაჟას ბუნების და მთის ფენომენთა ამეტყველებაში ტოლი არ ყავს. ამის ახსნა მხოლოდ და მხოლოდ იმით არ შეიძლება, რომ ფშავ ხევსურეთში პანთეიზმის კულტია გაბატონებული და ქართულმა ქრისტიანობამ საუკუნეთა განმავლობაში ვერ შესძლო იქ მაგრად ფეხის მომაგრება. არა, ვაჟა ფშაველა შეგნებულად უარყოფს ქრისტიანულ ფილოსოფიას და საფიქრებელია იმ მოსაზრებითაც, რომ ისტორიულ მანძილზე ქრისტიანობა შიგა და შიგ დაპყრობის და ბარბაროსობის შესანიშნავი ფარხმალი იყო და სწორად საფარიც... ეს მან საკუთარი თვალით დაინახა რუსეთის მაგალითში. და შესაძლებელია სწორედ ამიტომ ქრისტიანულ მორალსა და კულტს პანთეიზმს უპირდაპირებს... მისი პიროვნული და ფშავ ხევსურეთის პანთეიზმი აქ ერთმანეთს დაემთხვა.

ვაჟას აქვს კომპოზიციის საოცარი ტექნიკა. ეს სჩანს მთელ მის ეპოსში. მისი მთავარი გმირები უჩვეულო ადამიანებია. მათ აქვთ გაუზრელი ნებისყოფა, გაუტეხელი სული და მაღალი მორალი. ისინი ყოვლობის დამტევი ადამიანებია, რომლებსაც შეუძლიათ ვაჟაკური ბრძოლა, ვაჟაკური სიკვდილი.

ვაჟა ფშაველას მთელი შემოქმედება სამშობლოს უზენაესი სიყვარულითაა ხორცმცხსმული და ეს სიყვარული მართადიულობამდე და უნივერსალობამდეა აყვანილი.

«სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურც ნურგინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრიოთ,
მკვდარსაც კი გაეცინება...»

ვაჟა ამას ამბობს მაშინ, როცა ჩვენ სამშობლო უკვე წართმეული გვექონდა რუსების მიერ. მაგრამ იგი თვალს არიდებს ამ საშინელ სინამდვილეს. და ათას წლოვან მითოსის სტიგმატებით ატანილი ემუქრება მტერს... მთელ მეცხრამეტე საუკუნეში ყველაზე მეტად ვაჟა იყო დარწმუნებული საქართველოს აღდგენასა და გამარჯვებაში.

მასში ყველაფერი ქართული იყო და არაფერი არაქართული.

მისთვის ლეგენდა და მითი ნამდვილად მომხდარი ამბებია. კიდევ მეტი, თითქო ვაჟა მოაწილეობას დებულობდეს მასში.

მას აქვს საკვირველი მხილველობა. მისი ყნოსვა რადიო ტალღებით სურის შორეულ ეპოქის დროსა და სივრცეს.

ვაჟა არ იყო არც პრაქტიკული მოღვაწე, არც პოლიტიკური მოაზროვნე. ის იყო ფილოსოფიური მჭკრეტელი. მისი პანთეისტური ფილოსოფია, მორალი და ეთიური შეხედულებები სასტიკი ლოლიკური ბრძმებითაა ერთმანეთთან შედუღებული და გამთლიანებული, როგორც რომელიმე გარკვეული ფილოსოფიური, რელიგიური თუ პოლიტიკური დოქტრინა.

ვაჟა ფშაველას შემოქმედება დიდ დაკვირვებასა და ღრმა შესწავლას ითხოვს. ეს თაობათა საქმეა.

მაგრამ დღეს ჩვენი ერის ყველაზე მძიმე, კრიტიკულ ხანაში ვაჟა განსაკუთრებული ყურადღების ღირსი უნდა იყოს, რადგან მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსებიდან ყველაზე უფრო მთლიანია მისი შემოქმედება.

ი. მანწკავა.

პარიზი 1935 წ.

GEORGICA

ამ სათაურით «ჯეორჯიკა» ლონდონში გამოვიდა გასულ თვეს მოზრდილი ტანის სამეცნიერო ყურნალი. რომელსაც მიზნად აქვს დასახული გააცნოს ინგლისელ მკითხველს საქართველოს მდიდარი წარსული. ყურნალს სცემს ახლათ დაარსებული საქართველოს საისტორიო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეა აღმოსავლეთის ენათა ჟმალღეს სასწავლებლის მართველი სერ დენისონ როს, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგები: ჩვენი მეგობარი სერ ოლივერ უორდროპ, მთიელთა მე-19 საუკუნის ომების ისტორიკოსი ჯორჯ ბედელი, პროფესორის მინს; როგორც საბჭოს თავმჯდომარე — ქართველ ერის ისტორიის ცნობილი ავტორი ვ. ე. დ. ალენ, და მისი დაუღალავი თანამშრომელი ა. გუგუშვილი ერთ-ერთი საპატიო მდივანია საზოგადოების. წევრთა შორის ჩვენ ვკითხულობთ ბევრ ცნობილ სახელს, მეცნიერებს და მეგობრებს, აგრეთვე ჩვენს თანამემამულეს პროფ. ე. თაყაიშვილს. უკანასკნელის კალამს ეკუთვნის ყურნალში მოთავსებული საყურადღებო შრომა ქართულ ქრონოლოგიაზე და ბაგრატიონთა მეფობის დასაწყისზე. თქვენ წაიკითხავთ იქვე პროფ. მიხ. წერეთლის ვრცელ და დასაბუთებულ შრომას აზიურ ელემენტებზე ქართულ წარმართებაში, პროფ. ავალიშვილის ნიუიორკის ერთ-ერთ მუზეუმში შენახულ ქართულ ქსოვილ მხატვრობის ნიმუშის, ერთი ჯვარის აღწერას, გ. ჩიტაია აღწერს დიდად საინტერესო სვანურ სავარძლებს, ა. გუგუშვილის ქართულ ალფაბეტზე და ხმების კლასიფიკაციაზე და ბევრ სხვას.

სერ დენისონ როს ამბობს თავის მოკლე წინასიტყვაობაში: «ცოტაა ქვეყანა, რომლის გრძელ ისტორიულ წარსულს, კლასიკურს და ახალ მწერლობას ისე ნაკლებ იცნობდენ, როგორც საქართველოს; და სწორედ ამიტომ სასიხარულოა, რომ მონახა ინგლისელთა ერთი ჯგუფი, რომელმაც მოისაზრა დაეარსებინა საზოგადოება საქართველოს ისტორიის და კულტურის შესასწავლათ. საზოგადოება არ დაჯერდება მარტო საქართველოს შესწავლას, ის გავრცელებს თავის კვლევა-ძიებას აგრეთვე მთელი კავკასიის ისტორიაზე და ეთნოლოგიაზე».

ვ. ე. დ. ალენ უძღვნის ამ თემას მშვენიერ მონოგრაფიას, სათაურით: «კავკასიის შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა». თქვენ აქ წაიკითხავთ სხვა და სხვა ქვეყნის მრავალ ავტორებს და მათ თხუთხულებებს საქართველოზე თუ კავკასიაზე, და ეს გამო-

სადევია არა მარტო უცხოელებისთვის, არამედ კავკასიელებისათვისაც. ცნობილია, თუ როგორ მოვიკაშულებთ ამ მხრივ.

ამრიგათ, ჩვენთვის საზგასასობია და სასიხარულო არაერთი, არამედ ორი ფაქტი: ქართულ სამეცნიერო საზოგადოების დაარსება და მის მიერ საკუთარ პერიოდულ ორგანოს გამოცემა, ჯერ წელიწადში ორჯერ, შემდეგ, როგორც გვპირდებიან, ყოველ სამ თვეს. ნუ დაივიწყებთ, რაც უკეთ გაეცნობიან ჩვენს წარსულს, მით უფრო დაინტერესდებიან ჩვენი აწმყოთი და მომავლით.

ჩვენი გაზეთი ეცდება უფრო ვრცლათ შეეხოს «ჯეორჯიკას» ახლო მომავალში, დღეს კი არ შეეძლო მას არ აღენიშნა მისი მოვლინება და არ ესურვა მისთვის გამარჯვება.

გუშაგი.

ჰენდერსონი და საქარ. დამოუკიდებლობა

უბრალო მუშიდან არტურ ჰენდერსონი (ანუ «ბიძია არტურ», როგორც მას ინგლისში ეძახდენ) უდიდეს პიროვნებათაგანი შეიქნა არა მარტო დიდ ბრიტანეთის უზარმაზარ იმპერიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიაც კი. მან თავისი განვითარება დაიწყო მუშათა მოძრაობაში, გახდა სოციალისტურ პარტიის წამდვილი ბელადი. მისი უდიდესი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი, იგივე ინგლისისთვის, რაც იყო ბებელი გერმანიის მუშათა მოძრაობისათვის. მის ხელმძღვანელობით «ლებურ პარტი» დიდი ძალა შეიქნა და პირველად ინგლისის ისტორიაში სოციალისტი მიიწვიეს მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად დიდი ომის დროს და ეს სოციალისტი, რომელსაც გაბედულება ჰქონდა დიდი პასუხისმგებლობა თავზე აეღო, ჰენდერსონი აღმოჩნდა. სხვებმა, ერის დიდი განცდის დროს, «პოპულიარობის» დაკარგვის შიშით, უპასუხისმგებლო ოპოზიციაში ყოფნა ამჯობინეს. ამით აიხსნება ის შეუსაბამობა, რომ, როცა ომის გათავების შემდეგ ომის წინამდებ ბრძოლა მოდად გადაიქცა, სოციალისტურმა პარტიამ ლიდერობა სხვას შესთავაზა. ჰენდერსონი დარჩა თავის მუდმივ პოსტზე — პარტიის გენერალურ მდივნად, მაშასადამე, ხელმძღვანელოდაც. მას შეეძლო პირველობა პარტიაში სხვისთვის ფორმალურად არ დაენებებია, მაგრამ იგი, როგორც ბუნებით უხვი არსება, არ იყო ამბიციის კაცი. საქმის ინტერესს ის ყველაფერზე მაღლა აყენებდა. ბოლოს და ბოლოს ეს კარგი ანგარიშიც გამოვიდა: ის გახდა ყველას საყვარელი შიგნით, თავის პარტიაში, თავის ქვეყანაში და პატივისცემა გარეთ, მთელ მსოფლიოში. 1931 წელს ერთა ლიგის საბჭომ ერთხმად იცნო ის ერთად ერთ ადამიანად, რომელიც ასეთ რთულ საკითხში, როგორც განიარაღების პრობლემა, მსოფლიო კონფერენციას ავტორიტეტულად უხელმძღვანელებდა. ამიტომაც ბრიანმა საბჭოს სახელით და პირადათაც დაჟინებით სთხოვა ჰენდერსონს განიარაღების კონფერენციის თავმჯდომარეობა მიეღო. კონფერენციიდან პრაქტიკული არაფერი გამო-

ვიდა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ჰენდერსონს, რადგან დაბრკოლებები გარდაუვალი იყო და ვინც უნდა ყოფილიყო მის ადგილას, ვერას განდებოდა...

ჰენდერსონის განწყობილება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში ფრიად დადებითი იყო, შეიძლება ითქვას უფრო მტკიცეც, ვინემ ბევრი მეგობრებისა, რადგან მეგობრობის გამოცვლასთან იცვლება მათი განწყობილებაც. ჰენდერსონი კი რჩება ურყეველი, ვინაიდან ის განსაკუთრებით მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული.

ინგლისელი არაა ბუნებით სანტიმანტალური ადამიანი. ჰენდერსონი ამ მხრით მეტის-მეტად ინგლისელი იყო. ამას მიუმატოთ ისიც, რომ სოციალისტურ წრეებში, რომელთაც ჰენდერსონი ეკუთვნოდა—ის სოციალისტურ ინტერნაციონალში დიდ როლს თამაშობდა, ხშირად ყოფილა მის თავმჯდომარედაც—ერთგულ საკითხზე ფრიად ზერეულე წარმოდგენა არსებობდა და თვით სამშობლოც სადავო საკითხად იყო მიჩნეული. ყველა ამ პირობების გამო მას საკითხის სწორად გაგება უნდა გასჭირებოდა და გამოსულიყო მის წინაშედ ნილილისტურად, როგორც ამას ხშირად ვხედავთ. ხოლო ჰენდერსონის სიდიდეც იმაშია, რომ მას ერის უფლებებზე სალი წარმოდგენა ჰქონდა, უფრო სწორი, ვინემ ბევრ მანე უფრო განათლებულ სოციალისტებს და უფლების მეტყველთაც კი. ამიტომაც ჰენდერსონი პირველთაგანია ევროპაში, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობას თავიდანვე მხარი დაუჭირეს და რომელნიც ერთგულნი დარჩენ ერთხელ აღებულ ხანზე.

მაგონდება დავა და აკ. ჩხენკელის მღელვარება, ჩვენი ცდა საქ. სოც. დემ. პარტიის წარმომადგენლობის, როგორც ცალკე სექციის (მანამდის შედიოდა როგორც რუსეთის ნაწილი), ომის შემდეგ სოც. ინტერნაციონალის პირველ კონფერენციაზე დაშვებისათვის, რომელიც 5-11-19 იხსნებოდა. ეს ცდა გამარჯვებით დამთავრდა, რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს მოასწავებდა პირველ ნაბიჯს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გზაზე. ამის მნიშვნელობა მით უფრო დიდი იყო, რომ სოციალისტების გავლენა ყველა ქვეყნის მართვა-გამგეობაზე შესამჩნევად გაიზარდა ომის დროს და მის გათავებისას მათ ბევრგან მონაწილეობა მიიღეს მთავრობაში, ბევრგან ხელისუფლება სავსებით მათ ხელში გადავიდა. პარტიულ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქირო იყო ეროვნულ დამოუკიდებლობის საკითხის დაყენებაზე გვეზრუნა თვით კონფერენციაზე. მაგრამ დაბრკოლება გარდაუვალი იყო: 4 წლის განმავლობაში ამ ხალხს პირველად ეძლეოდა შემთხვევა თავისუფალი ლაპარაკის, სალაპარაკო კი ყველას ბევრი ჰქონდა, ყველა ცდილობდა დაგუბებულ გრძობების დაცლას. ისტერიული სულისკვეთება სუფევდა. ამას თუ მიუმატებთ გავრცელებულ ხმებს გერმანია-ოსმალეთთან განწყობილებაზე და საქართველო-სომხეთის ომზე, სრულ სურათს მიიღებთ. აკ. ჩხენკელმა შეადგინა რეზოლუცია, მაგრამ მისთვის უხერხული იყო ადვი-

ლად წარმოსადგენი მოსაზრებით, შეხვედრა და მოლაპარაკება კონფერენციის გავლენიან წევრებთან და ამიტომ მომანდო მე. ვინახუე ყველა საქირო პირები და მოვაწერიე რეზოლუციაზე სელი კონფერენციის თავმჯდომარე ბრანტინგს (შვეიცია), ვიცე-თავმჯდომარეებს ჰენდერსონს (ინგლისი), იუსტს (არგენტინა), ვიმბაუტს (პოლანდია) და ინტერნაციონალის მდივანს ჰიუსიმანს (ბელგია), ალბერტ ტომას, რენოდელს (საფრანგეთი)... ამნაირად რეზოლუცია გადაიქცა წინადადებად თვით კონფერენციის პრეზიდენუმისა და სხვა გავლენიან წევრების. ეს ხელის მოწერა მოხდა რასაკვირვლია თვითუღთან განმეორებითი შეხვედრის და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ (მაგ. ალბერტ ტომამ პირობაც კი დამისვა: «ხელს ვაწერ მითმ, რომ თქვენი გაწილება არ მინდა, მაგრამ პირობა უნდა მომცეთ, რომ გერმანელებს არ მოაწერიებთ აქ ხელს; განსოვდეთ, რომ ჩემთვის ახლა ჰაახე და კაუტციკ მიუღებელიაო». ასეთი პირობა რენოდელმაც ჩამომართვა). დაუვიწყარია ჩემთვის ჰიუსიმანის და ჰერდენსონის საქციელი. ამათთან საქმე ორიოდ სიტყვის გაცვლა-გამოცვლით გათავდა.

პირველი შემთხვევა გასაგებია, რადგან ჰიუსიმანსი ფლამანია, კარგად იცის ეროვნული საკითხი და ფსიქოლოგიურადაც მომზადებულია თანაუგრძნოს დაჩაგრულ ერს. სულ სხვა იყო ჰენდერსონის მდგომარეობა. ის ვერ იზამდა ამას ვერც საკითხის თეორეტიული ცოდნით და ვერც თანაგრძნობა მეგობრობით. ამ ელემენტებს ადგილი არ ჰქონდა. მან ეს ქნა უზუნაესად განვითარებულ უფლებრივი გრძობის ძალით. მართლაც, სადაც მისი ცოდნა არ სჭრიდა, იქ ამუშავდებოდა მისი სალი, უტყუარი ინსტიქტი, რომელიც იძლეოდა თვით კეთილშობილობის საზომსაც. ის, მაგ., მორალზე არასოდეს ლაპარაკობდა, მაგრამ იყო თვით უალრესად მორალური პიროვნება. ბერს შემდეგ სხვაგანაც შეხვედრივარ (ლიუცერნში, ციუბრიხში). ხოლო ეს შეხვედრები განსაკუთრებით ხშირი იყო უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, ყენევაში, სადაც ის მოდიოდა, როგორც მთავრობის დელეგატი ერთა ლიგაში, სავარეო მინისტრი ლიგის საბჭოს სხდომებში. ის მუბუღობდა ყოველთვის იმავე დარბაისლობით.

ამ 17 წლის მანძილზე ბევრი რამ გამოიცვალა. მაგრამ ოდნავადაც არ გამოცვლილა ჰენდერსონის განწყობილება საქართველოს საკითხისადმი. უკანასკნელ ხანებშიაც არა ერთხელ შეხვედრივარ მას, როცა ის განიარაღების კონფერენციას თავმჯდომარეობდა (განსაკ. 1932-1933 წ.) და არაერთხელ უთქვამს ჩემთვის ღრმა რწმენით: «ვიცი, ძალიან ძნელი პირობებია და დიდი სიმძნვევა საქირო. მაგრამ ვიცი ისიც, რომ ასეთი წმინდა საქმე, როგორიც თქვენი, არასოდეს მოკვდება და ერთს დღეს უსათუოთ გაიმარჯვებს».

ამ დიდი ადამიანის გარდაცვალებამ დამწუხრა ყველა ინტერნაციონალური წრეები ყენევაში ისე, როგორც მთელი ინგლისის ერი. ამ მწუხარების მოხიარე ქართველი ერიცაა.

ხ. შავიშვილი.

უცხოეთის მიმოხილვა

ინგლისის არჩევნები.

პრემიერ ბოლდვინის მარჯვე ტაქტიკამ თავისი გაიტანა და თემთა პალატაში აბსოლიუტური უმრავლესობა ისევ კონსერვატორებს ერგოთ. ცნობილია, რომ არჩევნების დღის დანიშნვა პრემიერის უფლებას წარმოადგენს, ნიშნავს ჩვეულებრივ ლეგისლატურის გათავებამდე, და ბოლდვინმაც გამოიყენა ეს უფლება მისი პარტიისთვის ყველაზე ხელსაყრელ წუთში, როცა ყველა პარტიები შემოიკრიბენ ყოფილ მთავრობის ირგვლივ. ყენევაში აღებულ ხაზის წყალობით. მუშათა პარტიას, თუ არა ეს გარემოება, ბევრი შანსი ჰქონდა გაემარჯვნა, რის ნიშანს ნაწილობრივი არჩევნები იძლეოდა. მან მიიღო მთავარი ასამდე ახალი ადგილი თემთა პალატაში უმთავრესათ კონსერვატორების ხარჯზე და ამაზე თვით პრემიერმა გამოაცხადა თავისი კმაყოფილება, რადგან—ამბობს ის—ძლიერი ოპოსიცია დიდად სასარგებლოა მართველ პარტიის მეტი სიფხიზლისთვის. მართლაც, ისეთი უმრავლესობა ჰქონდათ წარსულ პალატაში კონსერვატორებს, რომ შეეძლოთ სრულიათ არ გაეწიათ ანგარიში უმნიშვნელო ოპოსიციისთვის.

მაგრამ უკანასკნელი ისე მრავალრიცხოვანია ეხლა, ტრავაისტების სახით, რომ მას შეუძლია იქონიოს იმედი მომავალ გამარჯვებისა. ორ-პარტიული მართველობა სრულიად განმტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს ამიერიდან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეორე პარტიის ადგილი საბოლოოთ, ლიბერალების მაგიერ, ტრავაისტებმა დაიჭირეს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ დაქუცმაცდა ძველადანვე განთქმულ ვიგის, ან კიდევ დიდი გლადსტონის პარტია. ლიბერალების ერთი ნაწილი, სერ საიმონის მეთაურობით, კოალიციაშია კონსერვატორებთან; მეორე ნაწილი, სერ სამუელის მეთაურობით, ოპოსიციასშია, მაგრამ თვით მეთაური ვერ გავიდა კომონერად; მესამე ნაწილმა, ლოიდ ჯორჯის მეთაურობით, სულ 3-4 კომონერი გაიყვანა და ისიც მარტო მისი ოჯახი: თვითონ, მისი ვაჟი, ქალი!

დამარცხდენ აგრეთვე ყოფილი პრემიერი რამსფი მაკდონალდი და მისი შვილი მაკლოლმ, რომელიც კოლონიის მინისტრი იყო. მამაზე შური იძიეს სიხემის მემლარობებმა მოტლანდიაში მუშათა პარტიის დალატისათვის, სულაც არ ალაპარაკებდენ საარჩევნო კრებებზე და დაბრუნდა შინ მოტხილი და გაწილებული. მაკდონალდს—მამას თავისი ეროვნული მუშათა პარტია ჰყავს, შედის კოალიციაში რაღაც 6-7 კომონერით.

ბოლდვინს სურს შეუნახოს ახალ კაბინეტსაც «ეროვნული» სახელწოდება, თუმცა მის პარტიას არ ეჭივრება, როგორც წინეთაც, უმნიშვნელო პარტიების, უკეთ—მათი ნატყების დახმარება. ის ცდილობს რამზემ მაკდონალდი შეინარჩუნოს კაბინეტში. რადგან მას არ სურს, როგორც ეტყობა, საპატიო დასვენება—ლორდობა.

სანქციები.

როგორი გავლენა ექნება ინგლისის არჩევნებს უენევის პოლიტიკაზე? ერთი ამბობენ: ერთხელ გამარჯვებული და უზრუნველყოფილი ბოლდვინის კაბინეტი ნაკლებ იხმაურებს უენევაში და სამაგიეროთ ეცდება იტალიასთან შეთანხმებას და ომის შეჩერებას. მეორენი ფიქრობენ არა, სწორედ უენევამ მისცა მას გამარჯვება და აღებულ ხაზს არ გადაუხვევს. ასე თუ ისე, სანქციები ძალაში შევიდა ამა თვის 18 ს და ის უკვე იწვევს დიდ აღელვებას რომში. მართლაც, არავის ეგონა, რომ ლიგის წევრები ასე ერთსულოვნათ მოიმარჯვებდენ სანქციებს, თვითუღმა პირნათლათ გაატარა თავის ქვეყანაში იმპორტ-ექსპორტის აღკვეთა იტალიასთან. მართალია, გერმანია, ამერიკა და იაპონია არ შედიან ლიგაში, მაგრამ ესენიც იძულებული გახდნენ რამდენათმე შეეწოდნათ იტალიასთან ვაჭრობა. ასე დიდი ყოფილა დიდი ბრიტანეთის გავლენა მსოფლიოში, კუნძულების ბებრუხუნა ლომს კიდევ ჰქონია კბილებიო—გაიძახიან.

ფილიპინის დამოუკიდებლობა.

რას შვრება ამ დროს ვაშინგტონი? დამოუკიდებლობას უბოძებს ფილიპინს! არ დაიჯერებთ, მაგრამ ეს ასეა, თვით მოსკოვის ტას იც ვერ უარყოფს ამას. გამოდის, ამ რიგათ, ხალხს შეუძლია უსისხლოთაც განთავისუფლდეს. მაგრამ ამისათვის წყნარ ოკეანეში უნდა ამოტივდიდდეთ კუნძულების სახით და ამერიკა თქვენი დამპყრობი იყოს. ფილიპინი, თავის 10 მილიონ ხალხით, აუჯანყდა, გასულ საუკუნის დამლევს, ისპანიას, ჩაერია ამერიკა და წაართვა და აგერ 40 წელია პყრობდა მას. რასაკვირველია, ამერიკელნი ანგარიშის ხალხია, ფილიპინი შედიოდა მათ საბაჟო საზღვრებში და მისი ჭარხალი მეტოქეობას უწევდა თუ ამერიკისას, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, მარტო ამა ამისთვის მიგვეწერა ვაშინგტონის კაცთმოყვარეობა. რუხველტმა ჯერ გაიყვანა თავისი ჯარები ჰაიტიდან, პანამიდან, მამასადამე, აქაც რაღაც სისტემაა. გაიხსენეთ ინგლისი და მისი დომინიონები, ინდოეთის ახალი კონსტიტუცია... მოსკოვმა ხომ გაასწრო ამერიკას მსხვილ მრეწველობაში, ასევე გაასწობს მას ალბათ ერები-სთვის თავისუფლების მინიჭებაში!

ვლენთა რესტავრაცია.

კრიტოსის გმირმა ვენიხელოსმა კიდევ აჯანყების დროს განაცხადა, რომ საბერძნეთს გაძევებული მეფე გიორგი მეორე მოეგლინებაო. გენერალი კონდილისი უარყოფდა ამ «ცილისწამებას», მაგრამ, გაიმარჯვა თუ არა აჯანყებულებზე, «პლებისციტით» მონარქიის რესტავრაცია მოახდინა. მოხუცდარესპუბლიკის მამა ვენიხელოსი, ვინ შეძლებს მის მაგიერობას, დაკარგულის დასაბრუნებლათ? ძველი ანტანტა ხარობს და ვისაც ნამდვილი საბუთი აქვს იხაროს, სდუმს—ბერლინი, რომლის აშკარა მომხრე გიორგის მამა კონსტანტინე იყო.

შვილი ამერიკიდან

ამ უკანასკნელ დღეებში ყენევიდან ერთა ლიგის კოორდინაციის კომიტეტმა შეერთებულ შტატების მთავრობას «მასალები» გამოუგზავნა, რომელიც ეხებოდა იტალია-ეთიოპიის «კითხვას». მასთან კომიტეტის თავმჯდომარე სწერდა: მხარული ვიქნები, თუ მივიღებ არა ლიგის წევრებისაგან ყოველნაირ «კომუნიკეს», როგორც მათ სურთო...

შეერთებული შტატების საგარეო მინისტრმა კ. ჰოლმა, პრეზიდენტ რუზველტთან ერთად შედგენილი, გადაჭრილი პასუხი გაუგზავნა, რომ თუმცა შეერთებულ შტატების მთავრობა ლიგის მიერ ომის წინამძღვრ მიღებულ ზომებს სიმპატიურად უყურებს, მაგრამ თვითონ არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს და თავის ნეიტრალურ გზას არ გადასცილდება.

მართალია, მთავრობის გამოცხადებული «ემბარგო», აკრძალული საომარი მასალის სია, უმწიკველო და ჯიბის ანგარიშებს მოკლებული არ არის. მაგალითად სიაში არ არის აღნიშნული ასეთი ნედლი მასალა, როგორც არის ბამბა, სპილენძი, ნავთი, სურსათი და სხვა, რაც დიდი საქირო და სასარგებლოა მხოლოდ იტალიისთვის.

მაგრამ ეს გადაწყვეტილი ნეიტრალური გეზი ამერიკის მთავრობისა საყურადღებოა არა მარტო იმ ინციდენტის გამო, რომელსაც ეს ეხება, არამედ შორეულ აღმოსავლეთის სიტუაციისთვისაც.

არა ერთხელ აღძრულა კითხვა: რას იზამს ამერიკა, რომ რუსეთ-იაპონიას შუა ომი მოხდეს? პასუხი ერთია: ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს, ასეთია არა მარტო მთავრობის ხაზი, არამედ ამერიკის ხალხის სულიკვეთება (შესაძლებელია, მაშინაც არ იქნეს «წმინდა» ნეიტრალიტეტი, მაგრამ იმ შემთხვევაში ორივე მეომარს თითქმის ერთნაირად ექნება საშუალება ამერიკასთან გაჭრობისა). თუ ორი წლის წინედ, რუს-ამერიკის ახალ დამეგობრობის გამო კიდევ იყო მოსალოდნელი ამერიკის გადახრა რუსეთისკენ,—დღეს ამის ფიქრი ყოველად უსაბუთოა. ამერიკის მთავრობა თანდათან შორდება საბჭოებს (ხალხის გული მასთან არასოდეს იყო).

დღეს, პირიქით, მეგობრობა იაპონიასთან იზრდება. ახლა იაპონიაში სტუმრად არიან პრეზიდენტის თანამემწე (ეს ამერიკა იაპონიის ისტორიაში პირველი შემთხვევა) ი. ნ. გარნერი და ზოგიერთი სენატორები ვაშინგტონიდან, რომელთაც აუდენცია ჰქონდათ მეფესთან და სადილი საგარეო მინისტრ კოკი ჰიროტასთან. სტუმრები დიდი პატივცემით და პომპით იქნენ მიღებულნი. ამერიკის საელჩოში 2.000 იაპონელმა შეიარა, რომ სტუმრებს მისალმებოდნენ, მათ შორის მთელი კაბინეტი და პარლამენტის წევრები.

აქ მეტი არ იქნება აღნიშნოთ ამერიკელის ფსიქოლოგია—სერიოზულ საქმეშიც ოსუნჯობის გარევა: პრეზიდენტის თანამემწე ი. გარნერი არის ტექსასის შტატიდან, სადაც დიდი ბამბის მოსავალი

მოდის, და მასთანამე მოყვარე ბამბისაგან გაკეთებულ ტანისამოსისა. თურმე მას არასოდეს უტარებია აბრეშუმის წინდები, გარდა ბამბისა. როცა იაპონიის მეფეს უნდა წარდგომოდა, კითხვა აღიძრა, შეიძლება თუ არა აუდენციის დროს ჩაიცვას ბამბის წინდები. ხუმრობით თუ სერიოზულად გარნერი პრეზიდენტ რუზველტს შეეკითხა, რადიოს საშუალებით. პრეზიდენტმა უპასუხა: «თუნდაც სულაც ნუ ჩაიცვამ ჩემსავითო» (მაშინ პრეზიდენტი ოკეანეში ფეხნიშველი თევზაობდა).

შესაძლებლობა ომისა რუსთ-იაპონიას შუა დღეს მეტია, ვიდრე რომელსამე სხვა დროს. სხვათა შორის წითლების თარეშობა ჩინეთში იაპონიას ძალიან აწუხებს. იაპონიის უკანასკნელი ნოტა ჩინეთისაგან მოითხოვს, რომ ანტი იაპონური და ანტი მანჯუკურის ორგანიზაციები და კომუნისტური ბანდები ჩინეთის ჩრდილო ნაწილში ალაგმული იქნენო. ჩინეთში მყოფ იაპონიის ელჩმა არიოშიმ განაცხადა, რომ იაპონიას და მანჯუკოს მიზნად აქვთ დასახული, ჩრდილო ჩინეთში კომუნისტები აღმოეხვრანო. თუ ეს ჩინეთს არ შეუძლია, ინიციატივას თვითონ იაპონია ხელში აიღებსო.

იაპონიის ვახეთები ცნობებს იძლევიან, რომ რუსეთ-ჩინეთს შუა შეთანხმება არის იაპონიის წინამდევო... შეიარაღებული შეტაკებები რუსეთ-მანჯუკოს საზღვრებზე დღითი დღე იზრდება. მოსკოვითების დათმობა და ცარიელი პროტესტები იაპონიას მხოლოდ აღიზიანებს. ხარბინი დაიცალა კომუნისტების ქვეშევრდომებისაგან, იძულებული არიან რუსეთში წავიდნენ...

კომინტერნის მეშვიდე კონგრესის მერე კომუნისტების საქმე ამერიკაში უკან-უკან მიდის. მოსკოვმა არამც თუ «გალვანიზაცია» გაუკეთა მათ სუსტ არსებობას, არამედ მათი მოწინააღმდეგეები დარაზნა და კომუნისტებს სისუსტე მოუმატა. მოსკოვში აღებულ გეზმა, რომ კომუნისტებმა ერთი ფრონტი შექნან სოციალისტებთან და ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ელემენტებთან, საწინამდევო მიზნებს მიაღწია. სადაც კი არ შეეცადნენ კომუნისტების ლიდერები შერიგებას, გადაჭრით უკუგდებულ იქნენ.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ («დამ. საქ.» № 117), რომ ნიუორკის შტატის მუშათა ფედერაციის კონგრესმა ერთხმად გააკიცა კომუნისტების მოქმედება ამერიკის და მათი დელეგატების—მოსკოვში. მაშინ შტატის კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია ახლა მოწონებულ იქნა. სრულიად ამერიკის მუშათა ფედერაციამ, რომელსაც ოთხ მილიონამდე წევრი ყავს, დიდი განაჩენი გამოუტანა კომუნისტებს. ატლანტიკ სიტიში მომხდარ კონგრესმა, რომელსაც დაესწრნ ბევრი უცხო ქვეყნის მუშების წარმომადგენლებიც, ერთხმად დაგმო კომუნისტების მოქმედება და გამოიტანა 19 ოქტომბერს რეზოლუცია, რომ არ მიიღონ თავის წრეში, ან და წარმომადგენლად, არც ერთი ორგანიზაცია. რომელიც იმყოფება კომუნისტურ გავლენის ქვეშ, ან არც ერთი პიროვნება, ვისაც სწამს კომუნისტები, ან იცავს ძალმომრეობას...

ამ კონგრესმა აგრეთვე უარყო ცალკე მუშათა პარტიის დაარსება, ე. ი. რჩება არაპარტიულ ორგანიზაციად.

19 ოქტომბრის «ქრისტიან საიენსის მონიტორ»-ში მოთავსებულია ტფილისიდან «სპეციალური» კორესპონდენცია, რომელიც ეხება რუსეთის დიქტატორს სტალინს, მის დედის სანახავად ჩამოსვლის გამო, და საქართველოს განსაკუთრებით. ეს გაზეთი გამოდის ქალაქ ბოსტონში, აქვს დიდი ტირაჟი, განსაკუთრებულ რელიგიოზურ რწმენისა და ამიტომ მილის ყველა ქვეყნებში. სადაც ინგლისურის მკითხველი საზოგადოება არის: აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიაში და სხვ. წერილი სიმპატიურად მოკლედ იხსენიებს საქართველოს 2.000 წლის ისტორიას. საერთო მდგომარეობაზე ფრთხილად სწერს. ოთხი სურათია: ერთი მათგანი—ქალები და კაცები ლამაზად ჩაცმულნი მინდორზე მოცეკვავები. წერილიდან მოვიყვანთ ზოგიერთ ალაგებს:

«ქართველებს ბევრი რამ უნახავთ და ბევრი რამ ახსოვთ, რომ რომელიმე მთავრობა ნამეტან სერიოზულად მიიღონ... მოსკოვში სტალინის სურათები გამოიყურება ყოველ კუთხიდან და მისი სახელი იხსენიება ჩურჩულთ, მაგრამ თავისი ქართველები მას უყურებენ მსუბუქად, მჩატედ... საბჭოებში დღეს ბევრი თავისუფლება არ არის, მაგრამ ტფილისი ისე არაა დამფრთხალი როგორც სხვა კუთხეები რუსეთისა... ბევრი დრო არ გინდათ დაჰყოთ ტფილისში, რომ იგრძნოთ, რომ ტფილისი კიდევ ღირსია თავისი სახელის «პატარა პარიზი»-სა... ქართველები არიან ჩაცმულნი სუფთად და კოხტად. მათ აქვთ კარგი გემოვნება ჩაცმის, ფერების შეხვედრისა და მიუხედავად იაფიანი ტანისამოსა, რომელსაც ისინი ახლა ატარებენ, გეგონებთ ძვირფასიანში არიან... ქართულ ნაციონალურ მუზეუმის დათვალიერება დაგარწმუნებთ, რომ ამ ქვეყანას საუკუნოების განმავლობაში სცოდნია, როგორ ქსოვოს, როგორ ქარგოს საუცხოვო ფაბრიკატები და შეაერთოს ლამაზ სამოსელშიო. რაც შეეხება ფესხაცმელებს—გასაკვირი არ არის, რომ კარგ მოცეკვავმა მოითხოვოს კარგი წილებიო. მართლაც, ტფილისში ბევრია მეწულე, ვინც მშვენიერ ტყავზე მუშაობენ და მთელი მცხოვრებნი გრაციოზულად დადიან. საბჭოების მთავრობა ამყობს დიდი ახალი ფოსტის შენობით, მაგრამ ტურისტებისთვის მომხიბლავია არა ახალი, არამედ რაც არის ძველი და ანტიურიო... სიუხვე და კეთილშობილება ქართველების საუკეთესო ღირსება და თვისებაა. როცა ჩვენ მოსკოვიდან გადმოვიდოდით, გვეშინოდა, ჩვენი მცირე რუსულის ცოდნით მოგზაურობა. ერთმა ცინიკმა მეგობარმა მოთხრა: «ნუ გეშინია, ფული ილაპარაკებსო». მაგრამ რამდენიმე დღეს ტფილისში ყოფნამ დაგვარწმუნა, რომ აქ საყოფი იყო ცოდნა მხოლოდ ორი სიტყვის: «გთხოვთ» და «გმადლობთ»...

ნაური.

შუპნ. «ნაციონ უნდ შტაატ»

სამბჭოთა კავშირის ეროვნებათა საკითხზე.

ცნობილი გერმანული ყურნალი «ნაციონ უნდ შტაატ» (ერო და სახელმწიფო), რომელიც ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამოდის და ევროპის სახელმწიფოების ეროვნულ უმცირესობათა პრობლემის გაშუქების მიზანს ემსახურება, თავის ივლის-აგვისტოს ორმავ ნუმერს უძღვნის საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საკითხს. ჯერ რედაქტორი ბ. ფონ-იუქსკიულ-გიულდენბანდი და შემდეგ ევროპის ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტის მდივანი ევალ ამმენდე აშუქებენ აღნიშნულ კითხვას ვრცლად არაჩვეულებრივი ყოველმხრივობით და სისწორით. პირველი ჯერ ეხება გერმანულ კოლონიზაციის აუტანელ მდგომარეობას საბჭოთა კავშირში და შემდეგ კი ვრცელ და დასაბუთებულ წერილში სასტიკ კრიტიკას უკეთებს მოსკოვის ნაციონალურ პოლიტიკას, რომელიც ავტორის სამართლიანი სიტყვით ეროვნებათა განადგურებისაკენ, მათი ინდივიდუალური სახეობის მოსპობისაკენ არის მიმართული. ბ. ამმენდეს წერილი არის ნაწილი მისი წიგნისა საბჭოთა კავშირზე, რომელიც მოკლე ხანში უნდა გამოვიდეს. ამ წერილში ის ეხება აღნიშნულ ეროვნებათა მდგომარეობას განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში. ის აგვიწერს არა მარტო ეროვნულ ჩაგვრას ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. არამედ მოსკოვის საერთო პოლიტიკასაც—განსაკუთრებით აგრარულს—, რომელიც ეროვნულ ჩაგვრას უღრმესად ამწვავებს. პატივცემული ავტორი განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება საქართველოს საკითხზე, ხაზს უსვამს მის იურიდულ მხარეს და გაბედულად ჰკიცხავს მოსკოვის იმპერიალიზმის ტერორს, რომლის გამტარებელთა შორის მოღალატე სტალინ-ორჯონიკიძეები ყველაზე უფრო ბარბაროსულ მჩაგვრელებს ეკუთვნიან. ბ. ამმენდე აღნიშნავს აგრეთვე იმ მუშაობას, რომელსაც თავისი ერისთვის აწარმოებს უცხოეთში გადმოსხვეწილი მთავრობა, მიუთითებს რა ნ. ყორდანიას, ე. გეგუჭკორის და სხვა მათ თანამებრძოლთა სახელოვან წარსულზე და მათ დიდ ავტორიტეტზე.

ყურნალი «ნაციონ უნდ შტაატ», რომელიც ევროპის სახელმწიფოების გერმანულ უმცირესობათა კავშირის ორგანოა, აღნიშნული ნომრით დიდ სამსახურს უწევს მოსკოვის უღლის ქვეშ მყოფ ერებს და შეუქველად გულითადი მადლობის ღირსია.

ნ. ი.

პ რ მ ს ა

ჩვენს მკითხველებს უკვე გავაცანით, თუ როგორ უარყოფით შეხედენ ჩვენი მეზობლები ჩრდილო კავასიელები ლაზური ანბანის და ენის საკითხს. სამწუხაროდ მათ მხარს უჭერენ აზერბაიჯანელებიც, რომელთა ორგანოს «კურტულუმის» მე-11 ნუმერში ვკითხულობთ: «საბჭოთა ორპირი პოლიტიკა საკმაოდ სხანს ყოველ მათ მოქმედებაში. მათი მთავრობა მშვიდობიანობას და შეთანხმებას ქადაგებს,

ამავე დროს სრული თავისუფლება ეძლევა კომინტერს, რათა უთანხმოება სთესოს ყველგან. ამ გზას მისდევდნენ ისინი მეგობრების მიმართაც. ერევანში არსებული ქურთების ორგანიზაცია რასაკვირველია არაა შექმნილი კავკასიაში მცხოვრებ 25 ათასი ქურთისთვის. ქურთების მთავარი მასა თურქეთსა, სპარსეთსა და ერაყში ცხოვრობს, და ერევნის ორგანიზაცია ამათვისაა მოწყობილი. ცნობილია, რომ ბოლშევიკები ქურთებისთვის დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ (?) ისე როგორც ლაზებისთვის (??). «ზარი ვოსტოკა» ცნობა ცხადყოფს ამას. ტფილისის მარის სახელობის ინსტიტუტში დაარსებულია ლაზისტანის სექცია. კავკასიაში ლაზები არ არიან (?), მაშ ვის წინამდევია მიმართული ეს ნაბიჯი? «ზარ. ვოსტოკა» მოვავაგონებს, რომ ჯერ კიდევ 1928 წელს იყო შედგენილი ლაზებისთვის ლათინური ანბანი და 1933—34 წლ. გამოიცა ამ ანბანით წიგნები ლაზებისთვის. მალე გამოცემული იქნება ლაზთა მწერლების ნაწარმოებნი. არც თურქეთში, არც სპარსეთში არ შეიძლება წიგნის ან გაზეთის გამოცემა საბჭოთა ხელისუფლების წინამდევად, რადგან ამას ებრძვიან საბჭოები ყოველნაირად. ხოლო თვითონ მოქმედებენ თავის მეზობლების წინამდევად».

არ შეგვიძლია, კვლავ ჩვენი დიდი მწუხარება არ გამოვსთქვათ და არ აღვნიშნოთ, რომ შეუწყნარებელია, რომ ერთი, რომელიც თვითონ თავის თავისუფლებისთვის იბრძვის, აბუჩად იგდებდეს სხვა ერს და ებრძოდეს მის თუნდაც ეთნოგრაფიულ-კულტურულ არსებობას. რატომ აზერბაიჯანელს, ან რომელსამე ჩრდილო კავკასიელ ერს შეუძლია განვითარდეს თავის დედა-ენაზე და ქურთისთვის ან ლაზისთვის კი დანაშაულობაა წაიკითხოს რამე ქურთულად ან ლაზურად?

მოვავაგონებთ ჩვენს მეზობლებს, რომ ამნაირი იარაღი ყველაზე სუსტია განმათავისუფლებელ ბრძოლაში და ამ გზით ისინი მხოლოდ ბოლშევიკების საქმეს ამაგრებენ.

«კურტულუშის» იმავე ნუმერში მირზა ბალა განისწავნებს თურქთა ჯარის დახმარებას, რომელმაც 1918 წ. სეტემბერში ბაქო ბოლშევიკებისაგან განთავისუფლა და აზერბაიჯანს შეუერთა, და ამბობს: «აზერბაიჯანი არასოდეს დაივიწყებს იმ მსხვერპლს, რომელიც გაიღეს ბაქოს წინ თურქმა სალდათებმა და ხსოვნა დაღუპულ გმირებისა სამუდამოთ დარჩება ჩვენს ქვეყანაში. ხოლო ჩვენ ვერ დავივიწყებთ ზოგ თურქ ემიგრანტთა ავანტიურასაც, რომელნიც ხალილ ფაშის მეთაურობით გახდნენ მიზეზი აზერბაიჯანის დამხობისა».

საქართველოს ამბები

(გაზეთებიდან)

ოქტომბერში ვაქა ფშაველას გარდაცვალების 20 წლის თავის აღსანიშნავად ტფილისში და საქართველოს სხვა ადგილებში გაიმართა სალიტერატურ-

რო საღამოები განსვენებულ პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად.

— ტფილისში ფრანგმა კრიტიკოსმა პიერ ფორსმა მოხსენება გააკეთა საფრანგეთის და საქართველოს მხატვრობის შესახებ.

— ტფილისში ოპერის სეზონი გაიხსნა 10 ოქტომბერს «დაისის» დადგმით; რუსთველის თეატრმა დაიწყო მოქმედება 26 ოქტომბერს. მის რეპერტუარში შეტანილია: ალ. შანშიაშვილის «არსენა», ს. კლიაშვილის «შემოდგომის ანანურები», აღსაბაძის გადმოკეთებული «კაცია ადამიანი», შექსპირის «იულიუს კეისარი», კორნეიჩუკის «პლატონ კრეჩეტი» და სხ. თეატრის ხელმძღვანელობიდან გადაყენებულია ალ. ახმეტელი.—მარჯანიშვილის თეატრი წელს დასდგამს: ილ. ჭავჭავაძის მოთხრობებიდან გადმოკეთებულს პიესას «ჩატხილ ხიდს» (შ. დადიანის მიერ), კ. კალაძის «ბნელი ღამეების სტუმარს», ვაკელის «შამილს», გაბესკირიას «ურთას», შილერის «ვერაგობას და სიყვარულს» და სხ.

— ტფილისში ჩამოვიდნენ უკრაინელი მწერლები სენჩენკო, კორნეიჩუკი და ბაუანი. დეკემბერში ქართველი მწერლები გაემგზავრებიან უკრაინაში, სადაც რამდენიმე თვე დარჩებიან.

— განზრახულია ოსურ მწერალთა ქართულ თარგმანების გამოცემა ორ წიგნად.

— ტფილისში ერბოს ფასია 18-21 მან. კილო, განჯის ყურძენი ღირს 2 მან. 50 კ. კილო.

— ბაქოში რუსთველის თეატრის დასმა რამდენიმე ქართული წარმოდგენა გამართა, რომელთაც დაესწრო 50.000-მდე მაყურებელი. ყველაზე მეტი მოწონება ჰქონდა პიესებს ხალხურ ცხოვრებიდან.

— ბაქოში შემდეგი ფასები იყო შემოდგომაზე: პური 2-3 მან. გირვანქა, ხორცი 12-14 მან., კარაქი 23-28, შაქარი ფხვნილი 7-8 მან.

— გარდაიცვალა პოეტი ვარლამ რუხაძე.

ქართველში საზრანგეთში

მოკლე დროში ქართველ მწერალთა საზოგადოება პარიზში გამართავს სალიტერატურო დილას ვაქა ფშაველას გარდაცვალების 20 წლის თავის აღსანიშნავად.

— შაბათს, 23 ნოემბერს, კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის ერების მეგობრობის კომიტეტმა მოაწყო «ჩაი», რომელზედაც მიწვეული იყვნენ ამ ერების წარმომადგენლები. კომიტეტის თავმჯდომარემ ა. შულგინმა გააცნო დამსწრეთ კომიტეტის ნაყოფიერი მუშაობა დღიდან დაარსებისა და აღნიშნა დაჩაგრულ ერების ერთობის დიდი მნიშვნელობა. მის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ნ. ყორდანიამ, რომელმაც მოუწოდა ყველას ერთობის და დაახლოვების განმტკიცებისათვის და გამოთქვა იმედი, რომ ეს ერთობა იქნება არა მარტო განმათავისუფლებელ ბრძოლის დროს, არამედ განთავისუფლების შემდეგაც.